




ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№265 (324) 15-22 აპრილი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ორბანი 30 თეთრი



ბილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და ბაზეთი „ილორი“ ულოცავენ სრულიად საქართველოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბილოცავთ ყველას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მკვლევართან აღდგომას!

ინებოს ღმერთმა, რომ მარადიულად გაბრძნობდეს ეს სიხარული ჩვენს სულაგში. გვხვდეს ამ წმინდა დღეების შესაფერისი ამბავი შემობრუნდეს:

სასწაული მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლის პირველად მოხსენიება IV საუკუნეში. ამ მოვლენაზე მოგვითხრობენ X საუკუნის არაბი ისტორიკოსები – მასუდი და ბირუნი. ისევე, როგორც ახლა, ძველ დროშიც ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე ყოველ დიდ შაბათს გარდამოდიოდა ზეციდან. ცეცხლის ზეციურობა იქიდანაც ჩანს, რომ გარდამოსვლიდან რამდენიმე წუთი არაფერს წავს, მცირე დროის მერე კი ჩვეულ თვისებას იძენს. ეს სასწაული, ჩუმი სიხარული მთელი მართლმადიდებელი სამეაროსი, აშკარა ნიშანია ღვთისგან, რომ იგი ჩვენთანაა.

ისტორიულად ისიც დამტკიცებულია, რომ მე-16 საუკუნემდე ქრისტეს საფლავის დაცვა ქართველებს გვებარა, როგორც საქრისტიანოს გრაალის უერთგულეს მცველებს. მონოფიზიტ სომეხებს კი იქ არაფერი ესაქმებოდათ, რადგან მათი რჯულის კანონი კატეგორიულად გამორიცხავს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას და, აქედან გამომდინარე, ისინი არც იმ სორციელ ტანჯვას აღიარებენ, რაც ქრისტემ განიცადა ჯვარცმისას, როცა კაცობრიობის მიერ ჩადენილი ცოდვები საკუთარ თავზე აიღო. სომეხი მონოფიზიტები თვლიან, რომ ქრისტე მხოლოდ ღვთიური სული იყო, მაგრამ სული საფლავი არ შეიძლება გაანდეს, ამდენად, მათ არაფერი ესაქმებოდათ ქრისტეს საფლავთან, რომელიც მათთვის დღესაც კი ფინანსური შემოსავლის წყაროა და მიწვეული და არა წმინდა ადგილია. მაგალითად, დღეს რომ ქართველმა მართლმადიდებელმა ქრისტეს საფლავთან ლოცვა მოიწადინოს, მან ქრისტეს საფლავთან მოდარაჯე სომეხ ტერტერას 200-300 დოლარი უნდა გადაუხადოს, რაც ყოველად მიუღებელია ნებისმიერი სარწმუნოე-

ბისათვის! მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სტატუს-ქლო და მსოფლიო საეკლესიო კრება დღეს არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ სამართლიანობა აღდგეს და ქრისტეს საფლავის მცველებად კვლავ მართლმადიდებელი ქართველები ჩადგნენ, რადგან ქვემოც კი ჩვენს სიმართლეზე დადასტურებულად ყოველი ეს უბედურება კი 1579 წელს დაიწყო, როცა სულთან მურად მართლის მმართველობისას, სომეხმა მონოფიზიტებმა მოისყიდეს იერუსალიმის ფაშა, რომ დიდ შაბათს ქრისტეს აღდგომის ტაძარში მართლმადიდებელი ტაძარში არ შეუშვებს. ისინი პატრიარქ სოფრონიოს IV-სთან ერთად

მეხმა იქუხა, ტაძრის ერთ-ერთი მარმარილოს სვეტი გასკდა და ამ ბზარიდან ცეცხლი გამოვარდა. ტაძრის წინ მლოცველი მართლმადიდებელი პატრიარქი წამოდგა და თავისი სანთლები აანთო. მისგან მიიღეს მადლმოსილი ცეცხლი ყველა მართლმადიდებელმა და ტაძარში მოსულმა სხვა აღმსარებლებმა.

ყველას უხაროდა. მართლმადიდებელი არაბები სიხარულით ხტოდნენ და ყვიროდნენ: **“შენ მხოლოდ ხარ ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე! მხოლოდ ჩვენი რწმენა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა რწმენაა ჭეშმარიტი!”**. ისინი მთელ იერუსალიმში



სურათზე: გვერდებამურული ბაზეთშილი მარმარილოს სვეტი, რომელზეც შემეღესი ქართული წარწერაა გამოსახული, ღვთისმად დასაშკარა ნიშნად ღვთის ძალისა.

საკვირველი უშიშროება

დაკეტილი კარების წინ, მოედანზე იდგნენ აცრემლებულები და გულშემუსვრილი იმედოვნებდნენ, მადლმოსილი ცეცხლი ერეტიკოსების ხელთაგან მაინც მიეღოთ. მათი იანჩინები კი ფხიზლად იყვნენ, მოსალოდნელი უწესრიგობისაგან თავის დასაზღვევად. უფლის საფლავის ტაძრის გვერდით დაახლოებით იმავე სიმაღლის შენობა დგას. ამ შენობის ზედა სართულის კვანძებს, სადარაჯო პუნქტში, იდგა იანი-ნართა ოფიცერი ომარი თავის ჯარისკაცებთან ერთად. ნათელი და მოწმენდილი იყო აპრილის ის დღე. გადიოდა საათები. უკვე კარგა ხანია გაიარა იმ დრომაც, როცა მადლმოსილი ცეცხლი გადმოიხსოვდა (ჩვენი დროით დაახლოებით დღის ორ საათზე), მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. სომეხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი კათოლიკოსი გულმოდგინედ ლოცულობდა უფლის საფლავის წინ, მაგრამ ღვთაებრივი ცეცხლი არ გარდამოდიოდა. უეცრად

დარბოდნენ, ყვიროდნენ და ხმაურობდნენ. მოდარაჯე თურქული ჯარი განაცვივრა და შეადრწუნა ამ სასწაულმა. ყველა დაიბნა. ამ დროს ომარმა ხმადასმული დაიძახა: **“ღიღია მართლმადიდებელთა რწმენა და მეც ქრისტიანი ვარო!”**. წამის უმალ მრისხანებისგან სახე აერიათ თურქებს და მას მისცვივდნენ. ომარი თამამად გადახტა ათ მეტრზე მეტი სიმაღლის აივნისა და დახტა, ქრისტიანებთან. საკვირველი უშიშროება, რაც ახასიათებს ქრისტესათვის ყველა მოწამესა და აღმსარებელს, მოწმობა იყო იმისა, რომ მან ჭეშმარიტად ირწმუნა ქრისტე. ომარი უვნებლად დაეცა მიწაზე და სასწაულგებრივად გადარჩა. თანამემამულეებმა შეიპყრეს და უმალ თავი მოჰკვეთეს, ეშინოდათ, მისთვის სხვებსაც არ მიეებათ. თავისი სისხლით მონათლული წმინდა ომარის სხეული კი ტაძრის წინ მოედანზე დაწვეს. მართლმადიდებლებმა წმინდა ომარის

ფერფლი და ძვლები მოაგროვეს, ლარნაკში მოათავსეს და სათაყვანებლად დააბრძანეს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტერში, სადაც დღემდე საკვირველ კეთილსურნელებას გამოსცემს. იერუსალიმის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ომარი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 19 აპრილი (ახალი სტილით – 2 მაისი) დააწესა.

გვერდებამურული გახეთილი მარმარილოს სვეტი (ამ სვეტზე უძველესი ქართული წარწერაა გამოსახული) დღემდე დგას აშკარა ნიშნად ღვთის ძალისა, რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელი, ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების დროს ვლინდება.

კ. კენკიშვილი

**პრემიერი
ღარიბაშვილი:
„ზღვისპირა ზოლის
ბანკოტარება და
პრობრესი არ
შეიძლება საინტერესო
არ იყოს ჩვენი აფხაზი
კმაბისტვის“**

„დავიწვევ რეგიონებში ვიზიტი, დღეს ვეწვიე სამეგრელოს, ზაფხულამდე ვაპირებ ვეწვიე რეგიონში ჩასვლას, რათა ადგილზე გავეცნო იმ პრობლემებს, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას. იმ დღეს მთავრობის მეთაურმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიასთან ერთად ნაპირსამაგრი სამუშაოები დათვალიერა.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ზღვისპირა ზოლის ათვისება და განვითარება აფხაზეთთან ახლოს ხდება. ამ ადგილების განაშენიანება, საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილი ინფრასტრუქტურა და ზოგადად პროგრესი არ შეიძლება საინტერესო არ იყოს ჩვენი აფხაზი კმაბისტვის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე იმედოვნებს, რომ ანაკლია მსხვილ საპორტო პუნქტად იქცევა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ანაკლიაში განაცხადა, მთავრობის დავალებით, ამ მიმართულებით საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე საინჟინრო-საკონსულტაციო იაპონური კომპანიები დეტალურ კვლევას ატარებენ.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, უკვე არსებობს ახალი პორტის რამდენიმე პროექტი, რომელთა დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების მოსაზიდად საპარტნიორო ფონდი მუშაობს.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ანაკლიის პორტში უნდა განვითარდეს ლოჯისტიკური და ინდუსტრიული ზონები, აშენდეს საერთაშორისო აეროპორტი, გაკეთდეს თხევადი გაზის ტერმინალი. პრემიერმა ხაზი გაუსვა ნაპირსამაგრი სამუშაოების მნიშვნელობას.

„სამეგრელოში მასშტაბური პორტის არსებობა ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების გაჩენას. პროექტი დიდ სარგებელს მოუტანს მთელ ქვეყანას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საქინფორმ

**ერთხელაც არ
წამოსცდენია
ბალაკტიონი
ლოთიას**



გიორგი ლეონიძეს ერთხელაც არ წამოსცდენია გალაკტიონი ლოთიას. პოდა, როცა მწერალთა კავშირში გალაკტიონი გააფრთხილეს, თუ სმას თავს არ დაანებებ, კავშირიდან გაგრიცხავთ, ის წამოღება და თქვა: – დავუშვით გალაკტიონი გაგრიცხეთ, მე ვერ რას ვმერყეოთ? ვიდაცამ დაიძახა: – უმაგისოდაც იარსებებს მწერალთა კავშირი. მას გასცინებია: მაშინ ამ კავშირს სახელი გადავარქვათ – ფხიხელ და არამსმელთა კავშირი დავარქვათ. გალაკტიონი კი იქნება ამ კავშირის წევრი თუ არა, ის მუდამ გალაკტიონად დარჩება, იმათ იკითხონ, ატომიკული რომ აქვთ გამოცემული და გალაკტიონის ერთი ლექსის საღირალი ჯერაც არაფერი დაუწერიათ. არა მხოლოდ ამ სიტყვების გამო უყვარდა გალაკტიონს გოგლა ლეონიძე – ისინი სულიერი მეგობრები იყვნენ.



მსენი ქართული ეკლესიის დაუბინებელი მტრები არიან – თუ სადმე შეხვდებით, ხელი არ ჩამოართვათ მათ!

არაფინ იცის, როგორი შეფერვილობის ვირის ტენი აჭამა ამ გადაგვარებულებს მათმა „მამამ და მარჩენალმა“ ეღუარდ შევარდნაძემ, მაგრამ ესენი რომ საგანგებოდ შეარჩია ამერიკაში „სასწავლებლად“ გასაგზავნად, ამაში ეჭვი არავის ეპარება. საერთოდ ადამიანის გადაგვარება (თუ იგი თავისი გადაგვარებული წინაპრების გენების გამოისობით დაბადებისთანავე არ არის სატანასთან წილნაყარი) მისი ოჯახიდან იწყება. ამიტომაც, ეს ადამიანის სახელდაკარგულები უკვე სკოლის მერხიდან მტრობდნენ ყოველივე ლამაზსა და ტრადიციულს. სწორედ ამგვარი სატანური შლიეფი მოსდევს ავადსახსენებულ „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაფრთიანებულ ამ არაადამიანებს, რომელთაც განსაკუთრებით ფართოდ გაშალეს თავიანთი ანტიმართლმადიდებლური მოღვაწეობა მექალთანე და ძალაუფლების ხიბლისაგან ჭკუაზე გადასული სააკაშვილის მმართველობის პერიოდში! სიყალბე, სიძულვილი, პირმოთნეობა და სიხარბე გამოსჭვივის მათ თითოეულ სიტყვაში, სატანის მონდომებით ებრძვიან ისინი ქართულ ეკლესიას, ყოველნაირ ტრიბუნას იყენებენ მართლმადიდებელთა დასამცირებლად, ნორმალურ ადამიანებად არ მიგვიჩნევენ, რადგან მათსავეთ არ ევტრფოთ პომოსექსუალიზმს, ლესბოსელობას, სხვა გარყვნილ ქმედებებს. მათი პარტიული ბოსები უკვე ჩამოაცილა ქართველმა ხალხმა ძალაუფლებას, მაგრამ ესენი მაინც იღრინებიან, ეკლესიას ადანაშაულებენ ნაციონალ მოძალადეთა გარეკვაში, უკადრებულს კადრებენ უწმინდესსა და უნეტარესს და წმინდა სინოდს!

აღდგომის ყველაზე ნაღდი მოლოცვა იუდას მისამართით გაგზავნილი წყველა-კრუღვაა! ამიტომ, წყველმიც იყენენ, ამ აღდგომა დღეს, ეს იუდას ნაშეიერები!

ამინ!

**ობამამ განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში არ მიიღებენ! მას რისთვის
ომობდნენ ქართველები ერაყში, ომობენ ავღანეთში და იომებენ აფრიკაში?!**



აი, თქვენ ნატო

2014 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღელას, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ლობამა, ბრიუსელში ევროკავშირი-აშშ-ის სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, განაცხადა, რომ ნატოს „უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე გაფართოების უახლოესი გეგმები არ აქვს“. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ქვეყნები „ნატოსკენ მიმავალ გზაზე არ დგანან“: „ნატოს გაფართოების არაფართო უახლოესი გეგმები არ არსებობს“ – განაცხადა ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა აგრეთვე, რომ ის უახლოეს მომავალში უკრაინის ნატოში მიღების პროცესის დაწყების პერსპექტივასაც კი ვერ ხედავს. „ვიცი, რომ თავად რუსეთი, ყოველ შემთხვევაში, ბეჭეტარუნდის საფუძველზე, ამბობდა, რომ უკრაინის მიმართ მისი შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი

ნატოში მისი პოტენციური წევრობა იყო. მეორე მიზეზი, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც უკრაინას დღემდე არ შეუტანია განაცხადი ნატოს წევრობაზე, რუსეთთან მისი რთული ურთიერთობაა. გულახდილად რომ ვთქვა, არა მგონია, ეს შეიცვალოს, ყოველ შემთხვევაში – უახლოეს მომავალში“, – თქვა ბარაკ ობამის ძემ.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საქინფორმს საქართველოს ხელისუფლებასთან 3 შეკითხვა აქვს:

1. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქართველი ჯარისკაცები ოკუპანტებად აქცია და ისინი ერაყსა და ავღანეთში სასიკვდილოდ გაგზავნა; საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ავღანეთში ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტინგენტი შეინარჩუნა, ხოლო თავდაცვის მინისტრი ალასანია ამერიკელებს მოელაპარაკა, რომ ქართველები იქ მომავალშიც (post-ISAF-ის პერიოდში) დარჩებიან; პრეზიდენტი მარგველაშვილი ა.წ. მაისში 100 ქართველ სამხედრო მოსამსახურეს ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში ცენტრალურ აფრიკაში აგზავნის – აბორიგენების მოწამლული ისრებისა და მანეტებისაგან დასაღუპავად.

ქართველ ხალხს განუმარტავდნენ, რომ ქართველი სამხედროები ბრძოლას ცხრა მთას იქით იმიტომ სწავლობდნენ, რომ მადლიერების ნიშნად აშშ-მ საქართველო ნატოში მიიღოს, რათა შემდეგ, ნატო-სთან ერთად, რუსეთისგან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიბრუნოს. მაგრამ აშშ-ის პრეზი-

დენტის ამასწინანდელი განცხადების შემდეგ გამოდის, რომ ქართველი ჯარისკაცები იქ ტყუილად იბრძოდნენ და იღუპებოდნენ?! კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს ათეულობით დაღუპულ ქართველ სამხედროებზე? რატომ არ წაუყენეს სააკაშვილს ეს ბრალდება?

2. რომელ საათზე უნდა იჯდეს ტელევიზორებთან საქართველოს მოსახლეობა, რათა საქართველოს ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ შეიტყოს, რადგან ძველი მარტის ჩათვლით – ნატო-ში საქართველოს უსწრაფესად შესვლაზე იყო აგებული? ვინ გააკეთებს ამ განცხადებას – თითქმის ყოველთვის ნასვამი მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ალექს პეტრიაშვილი გადადგომის წინ, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელსაც ხელში „საკუთარი სურვილით“ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება ეკავება თუ პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ვანო მახავარიანი?

3. ნატო-ს ნაცვლად სად, რომელ ქაქში ეცდებიან ამჯერად საქართველოს შეიყვებნას? თუ უწინდებურად მოგვატყუებენ – ახლა უკვე საქართველოს ევროკავშირში წევრობის თაობაზე? ნუთუ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა ჩინოვნიკებმა არ იციან – როგორ მოატყუა ევროკავშირმა უკრაინა, რა დოკუმენტს მოაწერა მასთან ხელი და როგორ კატასტროფად მოუბრუნდება ეს უკრაინას უახლოეს ხანებში?!

საქინფორმ

სახალხო მოძრაობა "სამებრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჯაჭიას!

ბატონო ალექსანდრე, გილოცავთ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი "ღირსების ორდენით" ("Орден Почета") თქვენს დაჯილდოებას.

სიმართლეს გეტყვით: გამახარა არა მხოლოდ თვით დაჯილდოების ფაქტმა, რაც ფაქტიურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი თქვენი ჯანსაღი დამოკიდებულების აღიარება გახლავთ, არამედ გამახარა იმან, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება აბსოლუტურად იზიარებს თქვენს პოზიციას და თავადაც ეძებს საქართველოსთან დაახლოების გზებს. ათმაგად სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ თქვენ ბრძანდებით პირველი ქართველი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა დააჯილდოვა ჯერ "ხალხთა მეგობრობის ორდენით", შემდეგ კი "ღირსების ორდენით".

არც იმას დაგვიმალავთ, რომ მე თქვენი შესაძლებლობებისა საბოლოოდ ვირწმუნე მაშინ, როცა გავეცანი თქვენს ფუნდამენტურ ნაშრომს "საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა". ეს იმდენად სიღრმისეული დოკუმენტია, რომ, სამწუხაროდ, ბევრ თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსს არამც თუ ამ დოკუმენტის ანალოგის შექმნა, არამედ მისი შემეცნებაც კი გაუჭირდება.

შეხედეთ, რა ხდება ქართულ პოლიტიკაში – არცერთ პოლიტიკოსს თავისი ნიჭითა და შრომით არ გაუკავავს გზა სამოღვაწეო ასპარეზზე – ყველანი ვიღაცის "ძლიერი ხელის" ან "დიდი ქისის" წყალობით არიან მოსულნი და, ამიტომ, გამოირიცხულია, რომ ამგვარმა არარაობებმა საკუთარი შეხედულებებით მართონ ქვეყანა. გაკითხებით: როდემდე უნდა ვიყოთ "კაცის კაცების" იმედად, როდემდე უნდა მართონ ქვეყანა სხვათა მიერ მოყვანილ-დასმულმა ე.წ. პოლიტიკოსებმა? როდემდე უნდა

გვატარონ თავად ხელით სატარებელმა პოლიტიკოსებმა საკუთარ ჭკუაზე, უფრო სწორად – თავიანთ უჭკუობაზე?

ხომ ხედავთ, როგორ შემოაძრცვეს საქართველოს სული და სორცი ჯერ შევარდნაძემ და შემდეგ მის მიერ გამოსეკილმა სააკაშვილ-ნაციონალებმა?

ეს ხომ რეგრესია, ქვეყნის სიბნელისაკენ უკუსვლა, საზოგადოების დეგრადაცია, პოლიტიკური სექტრის სრული ეროზია!..

შეიძლება ამით იმედად ყოფნა? ამიტომ არის აუცილებელი, რომ თქვენაირი ჭკუადამჯდარი და გამობრძმებული პოლიტიკოსი აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ წიაღსულებში.

ბატონო ალექსანდრე! დაგვერწმუნეთ, ამას მხოლოდ თქვენი პიროვნების მიმართ პირადი სიმპათია არ მაღაპარაკებს. ეს ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ მძიმე დროის და შექმნილი მდგომარეობის კატეგორიული მოთხოვნაა!

აუცილებელია ნიჭიერი, შრომისმოყვარე და სახელშეუბღალავი პოლიტიკოსის მტკიცე ხელი, რათა მომავლის გზაგასაყარზე მდგარი საქართველო ხრამში არ გადაიხეხოს, თორემ სხვის ხელს შემყურე პოლიტიკოსები მის ფეხზე წამოყენებას ვეღარ მოახერხებენ.

ამას გეუბნებით მე, ნაღდი ქართველი კაცი, რომლის შორეული წინაპარი 200 წლის წინ ჩამოვიდა რუსეთიდან საქართველოში, დაფუძნა აქ და ერთადერთ სამშობლოდ აღიარა ეს უღამაზე ქვეყანა.

იმედოვნებ, რომ ანგარიშს გაუწევთ ჩვენს მოთხოვნას!

ღრმა პატივისცემით, ალექსანდრე ტოლსტოი, თბილისი

სახალხო მოძრაობა "სამებრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჯაჭიას!

ბატონო ალექსანდრე, უზომოდ გაგვახარა ცნობამ იმის თაობაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი "ღირსების ორდენით" ("Орден Почета") დაგაჯილდოვათ. გარდა თქვენი პიროვნული ღვაწლის დაფასებისა, ამ ფაქტში ჩვენ ვხედავთ რუსეთის პატივისცემას იმ საქართველოსა და მისი ხალხისადმი, საზოგადოებისადმი, რომელმაც თქვენაირი ჭკუამაირიტი მაგალითი შეიქმნა, პატრიოტი ქართველები გამოსარდა.

სამწუხაროდ, ჯერ ვეღარ შევარდნაძემ, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილმა ფასი დაუკარგეს და ელვარება გაუქრეს სახელმწიფო ჯილდოებს, რადგან ორდენებითა და მედლებით მხოლოდ პირადი სიამოვნების მომინჯებულ კახებს, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე და საეჭვო მორალური ღირებულებების ხალხებს აჯილდოებდნენ. ამიტომაც განაცხადეს უარი სააკაშვილის ხელიდან ღირსების ორდენის მიღებაზე დიდმა ქართველმა ენათმეცნიერმა მაიანტი ძამაძემ, სახიობმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, სხვა მრავალმა საამაყო ქართველმა...

დამეთანხმეთ, სულ სხვა საქმეა, როცა იმ სახელმწიფოს პატრიოტ შეიღოს, რომელთან ღამის საომარ მდგომარეობაში იმყოფება რუსეთი, უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს აძლევს ისეთი სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე, თავისი ქვეყნის ასევე უდიდესი

პატრიოტი ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ბედით, რუსეთს სურს საქართველოს პრობლემების მოგვარება, რუსეთი მოწადინებულია საქართველოსთან კეთილმეგობრული ურთიერთობის აღდგენაზე!

ღიახ, ჩვენი გზა რუსეთთან მიდის, იმ რუსეთთან, რომელმაც ორასი წლის წინ შეგვიერთა, გაგვამთლიანა, გაგვამთლიერა, მსოფლიოში ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ გვაქცია! ჩვენი ადგილი რუსეთის გვერდითაა თუნდაც იმიტომ, რომ მასონთა ძალისხმევით დღეს ქრისტიანობა მთელ მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმსა და ლესბოსელობასთან ასოცირდება, მაშინ, როცა რუსეთი კვლავაც რჩება მართლმადიდებლური ღირებულებების ერთგულ მცველად.

ამიტომაც აუცილებელია, რომ ჩვენი ადგილი დავიბრუნოთ ისტორიულად "მესამე რომად" წოდებული იმ რუსეთის გვერდით, რომელმაც გაჭირვების კამს გადავიტარა "ენა, მამული სარწმუნოება"!

თითოეულ ქართველს კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე სხვა მიმართულების გზა დამღუპველი იქნება საქართველოსა და ქართველობისათვის.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,

ალექსანდრე ღარბაიძე, თბილისი

"მოსკოვის მაღაზიებში ქართულ ღვინოზე რიბეზია"

"ქართული ღვინის ამრდილი სადღაც საბაჟოსთან დახეტიალობს, თუმცა მაღაზიებში ჯერ კიდევ არ ჩანს", – ამბობდა ერთი თვის წინ რუსეთის მთავარი სანიტარი გენაი ონიშენკო, თუმცა ბატონ ონიშენკოს მიერ ათასგზის შერისხულმა ქართულმა ღვინომ რუსულ ბაზარზე მაინც შეაღწია. რუსეთის ბაზარზე პროდუქცია უკვე შეიტანეს კომპანიებმა: JWS-მა, "დუგლაძეების ღვინის კომპანია", "კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ", "თბილღვინომ" და სხვებმა. როგორ იყიდება რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინო? – ამ კითხვაზე "დუგლაძეების ღვინის კომპანის" გენერალური დირექტორი ზაზა დუგლაძე გვიპასუხებს:

– ბატონო ზაზა, პირველ რიგში, როგორ შეგხედნენ რუსეთში, რას ამბობენ მომხმარებლები ქართული ღვინის შესახებ?

– ძალიან დიდი მონატრებითა და სიხარულით შეგვხედნენ, ქართულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, ეს ეხება როგორც ალკოჰოლურ სასმელებს, ასევე მინერალურ წყლებსაც. გვეუბნებოდნენ, რომ მონატრებული ჰქონდათ ქართული ღვინო და ეს მართლაც ასე ყოფილა.

– თქვენი კომპანიის ღვინო როგორ იყიდება?

– ის რაოდენობა, რასაც ვაწვდით, ქსელში შესვლისთანავე იყიდება. გვეუბნებიან, რომ მოსკოვის მაღაზიებში რიგი დგება და ჩვენი ღვინო მალევე ქრება ქსელიდან. ამ ტრაპიზე

დაახლოებით, ნახევარი მილიონი ბოთლი გვაქვს გაგზავნილი, პროდუქციის ნაწილი გზაშია, ნაწილი კი – უკვე ქსელში.

როგორც ვიცო, უახლოეს მომავალში რამდენიმე კომპანია კიდევ შემოგვიერთდება, მათ შორის "ქინძარაულის მარანი" და "ბადაგონი", რომლებმაც საბუთები უკვე მოაწესრიგეს და ახლო მომავალში შეიტანენ თავიანთ ღვინოს რუსულ ბაზარზე.

– თქვენი კოლეგები რას ამბობენ, მათი ღვინოც ასე მალე იყიდება?

– როგორც ვიცო, ისინიც არ არიან უკმაყოფილონი. გამოვიტყვებთ, არც კი ველოდი, თუ ამხელა მოთხოვნილება იქნებოდა ქართულ ღვინოზე, კონიაკსა და მინერალურ წყლებზე. რასაც ვასხამთ, მაშინვე ვგზავნი რუსეთში და იმის შიში, რომ ჩვენი ღვინო არ გაიყიდება, ნამდვილად არა გვაქვს. მით უმეტეს, რუსი სპეციალისტების მიერ სერიოზული ლაბორატორიული შემოწმება გავიარეთ.

– და ბოლოს, ზუსტად რამდენი ხანია, რაც ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე შევიდა?

– ჯერ მხოლოდ ერთი თვეა გასული. პირველი პარტია დაახლოებით ერთი თვის წინ შევიტანეთ. ღვინომ სხვადასხვა ინსტანციები უნდა გაიაროს, დრო უნდა განაუკუბას, ანალიზებს, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც ქსელშია შესული, მაშინვე იყიდება.

ბ. ჩიბოტიძე

"რად ღროს იმის თქმაა, რომ მებრელოს სამშობლო სამებრელოა და – არა საქართველო?"



რამდენიმე დღის წინ პრესაში განათლების ცენტრ "კოლხიდას" წარმომადგენელ იური ღვინჯილიასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც რესპონდენტი ქართველების მიერ მეგრელების ჩაგვრაზე, მეგრული ენის გამოყენებლობაზე და სამეგრელოს საქართველოსგან გამოყოფაზე საუბრობდა. იმავე თემებზე მსახიობმა, ბუმბა შირცხალაშვილმა ისაუბრა.

– "საქართველო ჩემი სამშობლო არაა. ჩემი სამშობლო არის სამეგრელო". – ღვინჯილიას ამ ფრაზაზე თქვენ რას ფიქრობთ?

– გავიციებ, რა. რაღა ღროს იმის თქმაა, რომ სამეგრელოა სამშობლო და არა საქართველო. პირიქით, გაერთიანებულები ვართ და ამას უნდა გავუფრთხილდეთ, თორემ ნაკუწებად ვიქცევით. ეს კაცი აშკარად "შემოგდებული" აგენტია, თორემ ასეთი აზრი არ უნდა დაეხადოს. ვიღაცები რომ ამბობენ, გაუმარჯოს სამეგრელოს და არა საქართველოს, ეს სისულელეა. ღვინჯილია სულ ტყუილად ცდილობს, რომ რაღაც ამბები ააგოროს. მსგავსი მცდელობები ადრეც იყო, მაგრამ ხალხმა გასცა სათანადო პასუხი. ამასაც გაცემენ.

– ბევრს მიაჩნია, რომ ღვინჯილია ვიღაცის დაკვეთას ასრულებს და ეს მისი ინიციატივით სულაც არ ხდება. თქვენი ლაპარაკიდან ჩანს, რომ ამ აზრს ეთანხმებით... იგი თვლის, რომ "არსებობენ მხაგრელი ქართველები და ჩაგრული მეგრელები". არსებობს თუ არა ამის თქმის საფუძველი?

– მთლად გაუფრენია იმ საწყალს. როგორ შეიძლება, ქართველებმა დაჩაგრონ მეგრელები? ასეთი რამ პირველად მესმის. რას ამბობს, რაში გამოიხატება, რაში?! სასაცილოა ეს! ალბათ შევარდნადის პერიოდი აქვს მხედველობაში, მაგრამ მაშინ სამეგრელოს ბანდიტები ჩაგრავენ და არა ქართველები...

– საერთოდ, არსებობს თუ არა ქართულისგან განცალკევებით მეგრული კულტურა?

– ყველა კუთხეს თავისი კულტურა აქვს, განსხვავებული ტრადიციები. სწორედ ამაშია ჩვენი სიღამაზე. პრინციპში, მეგრულ ენაში ისეთი მდიდარი სიტყვებია, აუცილებლად უნდა შემოვიდეს ქართულ ლიტერატურაში. ხშირად ერთი მეგრული სიტყვა მრავალ მნიშვნელობას ატარებს. აი, ასეთი სიტყვები უნდა ამოკრიფონ მეგრული ენიდან და ეს ძალიან კარგი იქნება.

– რამდენად სახიფათოა, თქვენი აზრით, ისეთი შეხედულებები, რაც იური ღვინჯილიას აქვს და მსგავსი პიროვნებები სეპარატიზმის გაღვივების თვალსაზრისით?

– გეტყვით, რომ ამაზე ლაპარაკი ღვიძლი იწვევს. რა აწუხებს ამ კაცს, ჰკითხეთ, კაცო, რით არის დაჩაგრული, და როგორ არ გადადის მეგრული ენა მშობლებიდან შვილებზე? აბა, მე საიდან ვიცი მეგრული? და სახდერები უნდა მოისპოს საერთოდ, ჩვენ ერთიანები ვართ და ერთად უნდა ვიყოთ!

ბ. აბაშიძე



გულწიფი

ეს მოხდა იმ დროს, როცა უფალი-ღმერთი არამარტო ცასა და მიწას, არამედ მცენარეებსაც და ცხოველებსაც ქმნიდა და იმწამსვე საკუთარ სახელსაც არქმევდა მათ.

უფალმა, დიდებულმა და მშვიდმა, მთელი დღე სამოთხეში გაატარა, ქმნიდა და სიცოცხლეს ანიჭებდა, და როცა შესადამოვდა, პატარა ნაცრისფერი ჩიტის შექმნა მოისურვა.

“დაიმახსოვრე, რომ გულწიფი გქვია!” – უთხრა ჩიტს ღმერთმა. ხელისგულზე დაისვა და ჩიტი გაფრინდა.

ქვეყანა რომ დაათვალიერა, მოისურვა საკუთარი თავიც ენახა და დაინახა, რომ მთლად ნაცრისფერია და გულიც ნაცრისფერი აქვს.

პატარა ჩიტს შიშით გული უკანკალებდა, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო ახლო მიფრინდა ღმერთთან და ბოლოს მის ხელზე ჩამოჯდა.

მაშინ ღმერთმა ჰკითხა, რად დაბრუნდი.

მინდოდა ერთი რამე მეკითხათ, მიუგო ჩიტმა.

“რისი ცოდნა გსურს?” – ჰკითხა ღმერთმა.

“რად მეძახიან გულწიფელს, როცა ნისკარტიდან ბოლომდე სულ ნაცრისფერი ვარ? რად მეძახიან გულწიფელს, როცა ერთი წითელი ბუმბულიც კი არ გამაჩნია?”

ჩიტმა ვედრებით შეხედა ღმერთს თავისი პატარა შავი თვალებით და თავი შეატრია – გარშემო იგი ხედავდა წითელ, ოდნავ ოქროსფერ მტკვრდაყრილ ხობებს, თუთიყუშებს, ყელზე ფუმფულა წითელი ბუმბულით; წითელბილიანი მამლებს; ოქროს თევზებსა და წითელ ვარდებს ხომ ხედავდა და ხედავდა. რა თქმა უნდაო, გაიფიქრა, ერთი პატარა წითელი ბუმბული მაინც რომ მქონდეს გულზე, საკმარისი იქნებოდა ულამაზესი ჩიტი ყოფილიყო, და მაშინ უფლება მექნებოდა მეტარებინა გულწიფელს სახელით.

“რადა მქვია გულწიფელა, როცა სულ ნაცრისფერი ვარ?” ისევ გაიმეორა და ეგონა, ღმერთი ასე ეტყობა მას: “ააჰ, პატარა მეგობარო, სულ დამაიწყდა შენთვის წითლად რომ შემეღება ბუმბული. მოიცა, ახლავე გამოვასწორებ”.

მაგრამ ღმერთმა მშვიდად გაიღიმა და თქვა:

“მე გულწიფელა დაგარქვი და ეს იქნება შენი სახელი, მაგრამ შენ უნდა მოიპოვო წითელი ბუმბული გულზე”.

ჩაფიქრებით ფრენდა ჩიტი სამოთხეში. ასეთმა პაწია ჩიტმა, აბა, რა შეიძლება გააკეთოს იმისთანა, რომ წითელი ბუმბული იშოვოს?

უთვალავი წელი გავიდა იმ ბედნიერი დღიდან. უკვე დიდი ხანია, რაც ცხოველებმა და ადამიანებმა დატოვეს სამოთხე და მთელ ქვეყანაზე გაიფანტნენ.

ხალხმა ისწავლა მიწის დამუშავება და ზღვაზე ცურვა, შესამოსელისა და საცხოვრისების კეთება, დიდებული ტაძრებისა და ისეთი ძლიერი ქალაქების აშენება, როგორცაა თებე, რომი, იერუსალიმი...

და აი, ისევ დადგა დღე, რა დღეც მრავალი წლის მანძილზე იქნება ღირსასოვარი კაცობრიობის ისტორიაში. იმ დღილით გულწიფელა იერუსალიმის კედლებთან ახლო, პატარა, შიშველ გორაკზე იჯდა და ბუდეში თავის ბარტყებს უგალობდა.

თავის შვილებს გულწიფელა უამბობდა შექმნის საოცარ დღეზე, და იმაზე, რომ ღმერთმა ყველას სახელი უბოძა. ამ ამბავს ყველა გულწიფელა უამბობდა თავის შვილებს, იმ პირველიდან მოყოლებული, ვისაც ღვთის სიტყვა ესმა და მისი ხელიდან აფრინდა.

“ჰოდა, ნახეთ”, სევდიანად თქვა, “იმ დღიდან უკვე იმდენმა წელმა გაიარა, იმდენი ვარდი გაიფურჩქნა, კვერცხებიდან იმდენი ბარტყი გამოიჩეკა, რომ ვერაფერ შეძლებდა იმათ დათვლას, გულწიფელა კი ისევ ერთი პატარა და ნაცრისფერი ჩიტია და ჯერაც ვერ მოახერხა, ვერ დაიმსახურა წითელი ბუმბული”.

პაწაწებმა ფართოდ გაადგეს ნისკარტები და იკითხეს, შეეცადა თუ არა წინაპართაგან ვინმე რაიმე დიდი საქმე ჩაეღიმა და ეს ფასდაუდებელი წითელი ბუმბული ეშოვაო. “ყველამ გაგაკეთეთ ის, რაც შეგეძლო”, – მიუგო ჩიტმა, “მაგრამ ვერაფერ შეგეძლია მიგვეღწია საწადელისათვის”.

ბარტყები ნადვლიანად აჟივფიდნენ, წუხდნენ იმაზე, რომ თავიანთი პატარა ფუმფულა ყელზე ბუმბული წითლად არ უღვწოდებოდა.

“ჩვენ გალობის იმედიც კი გექონდა”, ისევ აგრძელებდა თავის ამბავს ბებერი ჩიტი. “უკვე პირველი გულწიფელა მღეროდა ისე, რომ მკერდი უთრთოდა შთაგონებისაგან, და ფიქრობდა: აჰ, ის მგზნებარება, რაც მე მამღერებს, და რაც ჩემს სულში ღვივის, წითლად შეღებავს ჩემს ბუმბულსო. მაგრამ ცდებოდა, ისე, როგორც ვცდებოდით ყველა და ისე როგორც ცდებით თქვენც”.

პაწაწებს ოდნავ დაეღოთ პირი, ყელიდან საცოდავი წრიპინი აღმოხდა.

“ჩვენ ჩვენი ვაჟკაცობისა და გამბედაობის იმედიც გექონდა”, ისევ აგრძელებდა ბებერი ჩიტი. “ჯერ კიდევ პირველი გულწიფელა მამაცურად შეებრძოლა სხვა ჩიტებს და მისი მკერდი ბრძოლის ალით გიზგიზებდა. აჰ, გაიფიქრა მან, “ჩემი ბუმბული ჩემს გულში მოვიზგიზე ბრძოლის ცეცხლით შეიღებება წითელ ფერად, მაგრამ ცდებოდა, როგორც ყველა ჩვენი და ისევე, როგორც ცდებით თქვენც”.

პაწაწებმა გულად დაიწრიპინეს, ჩვენც შევეცდებით მივადწიოთ ალთქმულსაო, მაგრამ ბებერმა ჩიტმა სევდიანად მიუგო, რომ შეუძლებელი რამ იყო ეს.

რისი იმედი უნდა ჰქონდეთ, როცა ამდენი გამოჩენილი წინაპარი ვერაფერს გახდა? რადა უნდა გააკეთონ მათ, სიყვარულის, სიმღერების და ბრძოლის გარდა? რა შეუძლიათ?..

ჩიტმა ვერ დაამთავრა ფრაზა ბოლომდე, იმიტომ, რომ იერუსალიმის ჭიშკრიდან ხალხის ბრბო გამოვიდა და იმ გორაკისაკენ გაემართა, სადაც მისი ბუდე იყო. აქ იყვნენ ამაყ ცხენებზე მსხდარი მხედრები, მეომრები შუბებითა და ოროლებით, ჯალათები ლურსმნებითა და ჩაქუნებით, დინჯად მაგალი მღვდლები და მოსამართლეები, მოტირალი ქალები. ყველაზე წინ კი ღრიალით მოდიოდნენ ჩამოხეულ-ჩამოგეული მაწაწალები.

პატარა ნაცრისფერი ჩიტი იჯდა ბუდის პირზე და კანკალებდა. შეეშინდა, ასკილს გადაქვდავენ და პატარებს მომიკლავენო.

“აბა”, ეუბნებოდა თავის ბარტყებს, “ერთმანეთს მაგრად მიეკარით და არ განიძრეთ! აგერ, პირდაპირ თქვენზე მოაჭენებს ცხენს მხედარი! აგერ-აგერ, მეომარი მოდის აქეთკენ, სანდლები სულ რკინებით აქვს დაჭედოლი! მთელი ბრბო აქეთ მოქანება!” ჩიტი იმწამსვე მიწში დაეღებოდა. თითქმის დაავიწყდა, რა ხიფათიც ელოდა მათ.

უცებ ჩიტი ბუდეს მივარდა და ნაცრისფერი ფრთებით ბარტყები დაფარა.

“არა, ეს მეტრისმეტი საშინელებაა”, თქვა მან. “მე არ მინდა, რომ მათ ნახონ – ჯვარზე გასაკრავად მიჰყავთ სამი ავაზაკი”.

და შეშინებულმა ჩიტმა ფართოდ გაშალა ფრთები, რათა უმწეო ბარტყებს არაფერი არ დაენახათ. იმათ მხოლოდ უროების დარტყმის გრიალი, შესაბრაღისი კენესა და გამხეცებული ხალხის ველური ყიჟინა ესმოდათ. გულწიფელა უყურებდა მთელ ამ ამბავს, საშინელებისაგან ფართოდ

გახელილ თვალს იმ სამ უბედურს ვერ აშორებდა.

“მაინც რა შეუბრალეველი ხალხია!” ფიქრობდა ჩიტი. “ის არა ჰყოფნით, რომ ეს სამი ღარიბი ჯვარზე გააკრეს, არა, ერთ მათგანს თავზე ეკლის გვირგვინიც დადგეს. ეკლები შუბლში ჩარჭობია და სისხლი ჩამოსდის. თვითონ კი ისეთი მშვიდი გამოხედვა აქვს, არ შეიძლება, არ გიყვარდეს. როცა ვხედავ, თუ რარიც იტანჯება, ასე მგონია, ჩემს გულს პირბასრი ისრები ჩასცეს”.

ჩიტი სულ უფრო და უფრო დიდი სიბრალულით იმსჯელებოდა ეკლის გვირგვინისანი ჯვარცმულის მიმართ.

“მე რომ ჩემი ძმა არწივი იყო”, ფიქრობდა იგი, “ხელებიდან ლურსმნებს ამოვადრობდი და ძლიერი კლანჭებით მივეყრიდი-მოვეყრიდი იმის მწამებლებს”.

ხედავდა, სისხლის წვეთებით როგორ ევსებოდა შუბლი ჯვარცმულს და აღარ შეეძლო ბუდეში ჯდომა. “მართალია, პატარა და სუსტი ვარ, მაგრამ მაინც რადაც უნდა გაგაკეთო უბედური წამებულისათვის”, გაიფიქრა ჩიტმა. ბუდიდან ამოფრინდა და მადლა, ცისაკენ გაფრინდა; ფართო წრეებს ხაზავდა ჯვარცმულის თავზემთ.

დიდხანს ფრენდა გარშემო, ახლო მიფრენას ვერ ბედავდა, იმიტომ რომ პატარა, მშვიშარა ჩიტი იყო და არასოდეს არ მოახლოებოდა ადამიანს. მაგრამ ცოტ-ცოტათი გამამცდა, სულ ახლოს მიფრინდა და ჯვარცმულს შუბლში ჩარჭობილი ერთი ეკალი ამოაძრო. ამ დროს ჩიტის გულს იმ წამებულის სისხლის წვეთი დაეცა. მძლე გაიშალა და პატარა-პატარა ნახი ბუმბული შეუღება ჩიტს გულზე და ყელზე.

როცა ფრინველი ისევ ბუდეში მოფრინდა, ბარტყებმა დაივიწყეს: “გულზე ბუმბული წითელი გაქვს! ვარდზე წითელი!”

“ეს, უბრალოდ, იმ საბრალო კაცის სისხლის წვეთია, შუბლზე რომ დასდის”, მიუგო ჩიტმა. “მაშინვე გაქრება, როგორც კი ნაკადულში გაიბანები”.

მაგრამ რამდენი არ განიბანა პატარა ჩიტი, წითელი ნიშანი არა და არ ქრებოდა, და როცა ბარტყები დაიხარდნენ, ყელი და მკერდი ღია წითელფერად ჰქონდათ იმათაც შეღებილი, და ეს დღეის დღემდე ასე არის.

სელმა ლაბერლოვი, წიგნიდან: “ლეგენდები ქრისტეზე”

ჭიკაბიძე ქვეყანაში მოსალოდნელ არეულობაზე – რა არის ცნობილი შს მინისტრისთვის სააკაშვილის ბებების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაბიძე საქართველოში მოსალოდნელ დესტაბილიზაციას ხედავს. გთავაზობთ ფრაგმენტს ინტერვიუდან, რომელიც შს მინისტრმა მასმედიაში მიხცა.

– “ნაციონალური მოძრაობა” ხშირად აკეთებს მინიშნებს იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, საქართველოში განმეორდეს ევრომაიდანის მოვლენები... ხედავთ თუ არა ამის ალბათობას და როგორ იმოქმედებს პოლიცია უკრაინული სცენარის შემთხვევაში?

– რაც უკრაინაში მოხდა, ჩვენთან ამის წინაპირობა ნამდვილად არ არის. წინა წლებთან შედარებით 200 და 300 პროცენტით მეტად დადებითად ადამიანის უფლებები, მათი პირადი ცხოვრება, პოლიტიკური შესედელებები და ა.შ. თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაციები, როგორც იცით, ყოფილმა პრეზიდენტმაც გააუფერა ევრომაიდანის იდეა და ამბობენ, რომ ეს თემა პარტიის შიგნითაც აქტიურად განიხილება. არის ინფორმაციები, რომ დაიწყეს საბურავების მომარაგება.

– ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ “ნაციონალური მოძრაობა” აქტიურად განიხილავს მასშტაბური გამოსვლების სცენარს და ამ მიზნით მოიმარაგებს საბურავები?

– დიახ, არის ასეთი ინფორმაცია. მათ სურთ რაღაც ზონდერჯგუფების ჩამოყალიბება. შესაძლოა, მოახდინონ წარსულში კრიმინალთან და მრავალ დანაშაულებთან ასოცირებული პირების მობილიზება. არის

ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან, გამოიწვიონ ქვეყანაში აურზაური და ეს კეთდება იმისთვის, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გაამყარონ. მე მგონია, ამას თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან დღეს ქვეყანა დგას სწორ გზაზე. მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს განაჩნია, არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მერწმუნეთ, საქართველოს მთავრობა, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის დაძლევის მიზნით. ოპონენტებს, რა თქმა უნდა, ექნებათ არეულობის მცდელობები, მაგრამ ეს არის მხოლოდ მათი სურვილი და ასეთ იდეებს რეალობაში განხორციელება არ უწერია. მეტსაც გეტყვით, მათ ჩამოიყვანეს უკრაინიდან ევრომაიდანის აქტივისტები, ატარებენ ტრენინგებს და მოსამზადებელ სამუშაოებს. ეს ინფორმაცია მედიაშიც მუსიკრებს. მათ საფარქვეშ ჰყავთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ იმაზე, როგორ გამოიყვანონ ხალხი ქუჩაში, მოხდეს არეულობა, შემდეგ ისევ მათმა ხალხმა ესროლოს ვინმეს და ეს დააპირადეს ხელისუფლებას. იგუგებოდა, რომ გაშალონ კარგები, სადაც 300-400 კაცის მობილიზებას მოხადენენ. მე მჯერა, რომ ჩვენი ოპონენტები, თავადვე მიხვდებიან, რომ ეს არ არის ის გზა, რომელიც ქვეყანას, ან ნებისმიერ ჩვენთვის რაიმე სიკეთეს მოუტანს.

– თუკი თქვენ საუბრობთ მოსალოდნელ სისხლისღვრაზე, რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებთ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს?

– დღეს ჩვენი არ ვართ ის უწყება, რომელიც სურვილებისა და იდეების გამო, რა გინდ მოუდებელიც არ უნდა იყოს ეს, დაიწყებთ დაჭერებს. მათ აქვთ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, მაგრამ ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოხდენას, ხალხისა და ოპონენტების ცემას, რათა ეს ყველაფერი მერე სახელმწიფოს დააბრადონ, უმკაცრესად დაისჯებიან! ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, არ დაუშვათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია და ადგილობრივი ყოველგვარი მსგავსი ქმედება. მათ, პირველ რიგში, საზოგადოება უპასუხებთ და გაცილებით მკაცრად. საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი სისხლი დაიღვრა. ეს ხალხს აღარ სჭირდება, ხალხს სჭირდება სიმშვიდე და ნორმალური განვითარება.

– უკრაინაში, ევრომაიდანის შედეგად, იანუკოვიჩის მთავრობა დაემხო... ამ შემთხვევაშიც მიზანი იგივე იქნება, თუკი თქვენ უკრაინულ სცენარზე საუბრობთ?

– მიზანი არის დესტაბილიზაცია, შეეცდებიან, ევროპულ პოლიტიკოსებს ცრუ ინფორმაციები მიაწოდონ და ამით გარკვეული წრეების მხარდაჭერა მოიპოვონ. მიზანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობა, ხელისუფლების შეცვლა და ა.შ. არის ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ეს სცენარი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ აამუშაონ, თუმცა არც ისაა გამოირცხვლი, გარკვეული ნიადაგი მანამდეც მოსიწვინ. – საკმაოდ სერიოზული განცხადებაა,

მით უმეტეს, როცა ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრი საუბრობს, თუმცა არჩევნებამდე წინ გააქვს 17 მაისი, რომელიც ერთგვარ ტესტად იქცევა როგორც საზოგადოებისათვის, ასევე თქვენი უწყებისთვის... გასული წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენად ადეკვატურად მოქცევა პოლიცია, თუ იგივე ექსცესებს ექნება ადგილი?

– პირველ რიგში, მოვუწოდებ საზოგადოებას, კანონს სცეს პატივი. ის, რაც გასულ წელს მოხდა, არ არის მისასაძიებელი. უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ადამიანს, ნებისმიერ ჯგუფს აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. არა მგონია, წელსაც დრამატულად განვითარდეს მოვლენები. ქართველი ხალხი არის ბრძენი, მას აქვს ანალიზის შესანიშნავი უნარი და დასკვნებსაც კარგად აკეთებს. აქედან გამომდინარე, რაიმე განსაკუთრებულ გართულებებს არ ვვლით, თუმცა ნებისმიერ სამართალდარღვევას პოლიცია ადეკვატურად უპასუხებს და იქნება შესაბამისი რეაგირება.

გ. ბოძლოვიწვილი
“ილორის” კომენტარი – პირბაზი მოგვცეს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ავადსახსენებელი ნაცვების მიერ კონფლიქტის პროვოცირებაში არ ჩაერგება და ქართველი ხალხი თავად გადაამტკრებს ხერხემალში და სამუდამოდ აღაგმავს იმ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომელსაც “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” ჰქვია და ციხეში მიუჭენს ადგილს პოლიტიკურ ავანტიურისტ სააკაშვილს!

მარმარილოდ ქცეული ქალიშვილი

წმინდა ნიკოლოზზე ჩვენს გაზეთში ხშირად ვგვსაუბრია. მართლმადიდებელთათვის ცნობილია, რომ იგი საოცრად მსწრაფლშემწე და გულმორწყალა მედრებელთა მიმართ, მაგრამ ამის ნათელი მაგალითი ნიკის I მსოფლიოს საეკლესიო კრებაა, რომლის დროსაც წმინდა ნიკოლოზმა კვერთხი ჩაარტყა ყოვლადწმინდა ქალწულის შეურაცხყოფელ არიოსს და ამგვარად დაადგინა ერეტიკოსი.

ახლა კი იმ სასწაულზე გვინდა მოგიხროთ, რომელიც 1956 წელს მოხდა ქალაქ სამარაში და "ზოიას დღემის" სახელითაა ცნობილი. ცნობა მის შესახებ მაშინვე გასცდა ქალაქის საზღვრებს. ახალი წლის დღეს, 31 დეკემბერს, ერთი ღვთისმოსავი ქალის შვილმა, ზოიამ, დღესასწაულის აღსანიშნავად თავისთან, სახლში, მეგობრები დააპტივა. დედა სთხოვდა, შობის მარხვაში არ არის ხმაურიანი ღვთისაპირი, მაგრამ ზოია კომკავშირელი იყო, ათეისტი, და დედის თხოვნას ყური არ ათხოვა. დედა საღამოს ღვთისაპირზე წავიდა ეკლესიაში, ხოლო ქალიშვილი სტუმრებს დახვდა.

წვეულებაზე ყველა მოვიდა, ზოიას საქმროს გარდა, რომელსაც სახელად ნიკოლოზი ერქვა. ღვთისაპირის საცეკვაო მუსიკა ჩართეს. ყველა დაწყებულა, ახლოდ ზოია დარჩა კენტიდ. განაწყნებულმა გოგონამ კედლიდან ჩამოხსნა წმინდა ნიკოლოზის ხატი: რაკი ჩემი ნიკოლოზი არ მოვიდა, ამ ნიკოლოზთან ვიცეკვებო. მიუხედავად კომუნისტურ-ათეისტური პროპაგანდისა, სტუმრებში მაინც აღმოჩნდა შიში და კრძალვა სწმინდეების მიმართ - ისინი ეხვეწებოდნენ ზოიას, თავის ადგილზე დაებრუნებინა ხატი, მაგრამ გოგონამ უპასუხა: "თუ ღმერთი არსებობს, იგი დამსჯის!"

მოულოდნელად საშინელი გრიალი გაისმა, ელვისებური შუქით განათებულ ოთახში კი ქარბორბალა დატრიალდა. შემტრუნებული სტუმრები გარეთ გაცვივდნენ და ეზოში აღმოაჩინეს, რომ ზოია მათთან ერთად არ იყო - იგი

ოთახში დარჩა, რადგან ვერ შეძლო ადგილიდან დაძვრა - მოელი სხეული გაუქვავდა და მარმარილოს ქანდაკებას დაემსგავსა. წმინდა ნიკოლოზის ხატი გულში ჰქონდა ჩაკრული.

სასწრაფო რომ გამოიძახეს, ექიმმა ნემსის გაკეთება სცადა, მაგრამ ზოიას ქვასავით სხეულზე ყველა ნემსის წვერი იღუწებოდა და ტყდებოდა. საავადმყოფოში გადაყვანა სცადეს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძვრეს - თითქოს იატაკს შეზრდოდა გოგონა. აღარც სმა შეეძლო, აღარც ჭამა, მაგრამ გული ძველებურად უცემდა. ეკლესიიდან დაბრუნებული დედამ შვილის დანახვისას გონება დაკარგა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს, საიდანაც რამდენიმე დღეში გამოწერეს. მას შემდეგ შვილს აღარ მოსცილებია, მის გვერდით იყო და ღმერთს ცრემლებით სთხოვდა შვილის შენდობასა და გადარჩენას. ზოია კი ხმამაღლა ყვიროდა: "დედა, ილოცე! ცოდვებში ვიდუბები! ილოცე!"

უამრავი ხალხი მოდიოდა მომხდარის სანახავად, მაგრამ ხელისუფლება რამდენიმე დღეში მოუგო გონს და სახლს დაცვა დაუყენა - მნახველებს აღარ უშვებდნენ დედა-შვილთან. მიღცივლები ყოველ რვა საათში ერთხელ იცვლებოდნენ. მათგან ძალიან ბევრი 28-30 წლის ახალგაზრდა იყო. ზოიას ხმის გაგონებამ მრავალი მათგანი გააჭაღარავა.

გადიოდა დღეები. ვერავინ შეძლო ზოიას ხელებიდან წმინდა ნიკოლოზის ხატის გამოთმევა, მათ შორის, ვერც სპეციალურად მოწვეულმა სასულიერო პირებმა. შობას მდღელმთავარი სერაფიმე მოვიდა, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო გადასახლებიდან. მან ილოცა, ოთახი აკურთხა, ზოიას ხელიდან ხატი გამოართვა და თავის პირვანდელ ადგილს დაუბრუნა. შემდეგ კი ბრძანა: "ახლა დაველოდოთ უფლის ნიშანს, რომელსაც იგი მოგვივლენს დიდი დღესასწაულისათვის. თუ ეს არ მოხდა, მაშ, ახლოს ყოფილა ქვეყნის აღსასრული!"

ხარების დღესასწაულის წინ ერთმა ხათინო სახის მოხუცმა ითხოვა ზოიასთან შეშვება.

ორჯერ უარით გაისტუმრეს, მესამედ კი შეუშვეს. ისიც გაიგონეს, როგორ კეთიხებოდა ზოიას: "რაო, მოგწინდა დღომა?" ელოდნენ. მოხუცი რომ აღარ გამოვიდა, თავად შეაკითხეს ოთახში, მაგრამ იქ ვეღარავინ იპოვეს. ეს თავად წმინდა ნიკოლოზი ეწვია სტუმრად განსაცდელში მყოფ ოჯახს.

ასე გაგრძელდა 128 დღე. იმ წელს ადღომამ ახალი სტილით 6 მაისს უწვევდა. ადღომის დამეს ზოიამ განსაკუთრებულად ხმამაღლა დაიწყო მოწოდება: "ილოცეთ! ილოცეთ!" მორიგე მილიციელებმა მის საცოდაობას ვეღარ გაუძლეს და პკითხეს: "ასეთი საშინელი ხმით რატომ ყვირის?" და პასუხად მიიღეს: "საშინელი ცეცხლით იწვის დედამიწა! ილოცეთ! მთელი დედამიწა ცოდვებში ინთქმება! ილოცეთ!"

ამ დროს უეცრად მოეშვა მისი სხეული, კუნთები მოუღუნდა და დაეცა. გოგონა საწოლში დააწვინეს, მაგრამ ის მაინც განუწყვეტელი სთხოვდა ყველას, ელოცათ ცოდვებში ჩაფლული ქვეყნიერებისათვის. გარშემო მყოფნი კეთიხებოდნენ, რით არსებობდა ამ ხნის განმავლობაში, ზოია კი პასუხობდა: "მტრელები, მტრელები მაწვდიდნენ საკვებს!" განცდილი იმდენად მძიმე იყო, რომ ქალიშვილი ადღომიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

მომხდარმა შემრა მთელი ქალაქი: მოუნათლავები მოინათლნენ. ვინც ჯვარს არ ატარებდა, ყველამ ტარება დაიწყო - ეკლესიებში მსურველთათვის ჯვრები არ ჰყოფნიდათ. უამრავმა ადამიანმა თქვა აღსარება, ეზიარა და ეკლესიური ცხოვრება დაიწყო. ხალხი ცრემლებით ითხოვდა შენდობას და თან ზოიას სიტყვებს იმეორებდა: "დედამიწა იწვის! ცოდვებში ვიდუბები! ილოცეთ!"

ზოიას დღომამ 128 დღე გაგრძელდა. ამ უდიდესი სასწაულის თვითმხილველთაგან ზოგიერთი ახლაც ცოცხალია და ადასტურებს მომხდარს.

საბ. ივზ.

ჰოეზიის კუთხე

ტრუნა

ჭარბა მიღორს ბჯაიოლიშ დო დიდ ჯალონას წენარას რინ.

გოლურსიდ ვურჩილეკე მა - მუჭო გალენს გალუ ფინ... მოსას შუნს ბობოლია - ჯვეშ ჯარგვალში ჭიჭე ორკეს. ბუაიოლშე ბუაშ მოლია, მონათენს ხიბა-ოხეს.

ქიანას ართნერი არ შუ, ვართ მუთუნ რე გორჩქინელ, ჩიტ მორკულ და სკეამიერ, ხოლო ბობოლ ვურჩქინელ. თეშენ არხეფ დუს მოთმადე, ირევერს უდ მუშ წეს დო გონ. შვიდას მეურქ ოზეშ გილე შუორშე მორქუ ნოტსალონ. ჩხანა თინშე გემორე დო მოე-მოე ნელა მიკიბჯინ ტიბუშ მარტუ ოდაბადეს, მუ ამო რე ტრუნას რინ!

მაღხაზ ბრიბოლია, აბაშა

სათრეველები

არჩივანი

საქმე ისე არ გვეონოთ, გიგი რომ უბერავდა, მაგრამ თუკი თბილისელი მაინც გვინდა მერადა, უდაოზე რომ ვიდავოთ, გახლავთ გასაკვირველი ხოხობია ერთადერთი თბილისელი პირველი, პოდა, დროა, დავადუმოთ მითქმელი სხვა სიმღერათა და ხოხობი ავირჩიოთ ჩვენს ქალაქში მერადა!

ბამარტ-ბაჭინძვყლეშულ ინციდენტზე

განმკლავურით, წინმკლავურით ნაცემია წიკლავური, მაგრამ ჩვენ არ ვგაგართ "ნაცებს" და საკადრის პასუხს გავცემთ, ვინც იხულოგნ-თავახედა და მას ცემა გაუბედა. მათ სასჯელი ელით მკაცრი, თუ ნაცები ცოტას გვაცლით. (არა თქვენებრ! - ხსოვნა არ შლის გელაშვილს და დავითაშვილს)...

მაია-68-ს

ინტერნეტსივრცის ყველა საიტი საესეა ნაციონალური დემოკრატით, რაც უმეტესწილად პასუხგაუცემელია ნაციონალო მაია, შენი ბუტური რაია, პო, რუსი ოკუპანტია! ამით რა? შენ და პარტია არ ხართ ჭორების ფანტია? იმათზე, ვინც არ იცის, პიტნა რა ხილია

ციტო!

მხილება, ისევე მხილება, არაკაცების მხილება.. რომ კითხულობდა, მიხო ბიჭს ბევრჯერ წამოსცდა გინება, უმწეობისგან ხელებიც მრავალჯერ გაასავსავა, არ მალავს: სძულს და ვერ იტანს გაზეთ „ასავალ-დასავალს“ დასკენა გსურთ? რომ არ იკითხოს, ხიხოს არ მიცვით სხვა შანსი, პიტნად მივართვთ გაზეთი ნადარევიშვილ ლაშასი!

ალექსანდრე შინგელია



იცნობდეთ, ესენი საქართველოს ეკლესიის დაუპინძელი მტრები არიან. არასოდეს ჩამოართვათ მათ ხელი!

მიმართვა საქართველოს ხელისუფლებასადმი

მხარს ვუჭერთ, ზვიად გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნას საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებათა გამოძიების სასწრაფოდ დაწყებაზე. სანამ საქართველოს უახლესი ისტორიის ეს ტრაგედია არ იქნება შესწავლილი, სანამ ამ ტრაგედიის "შემომქმედი" დაუსჯელია, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ სამართლიანობაზე ის არ დადგება - ქართველი ხალხი ვერ მოისვენებს და ერის გაერთიანება ყოვლად შეუძლებელია იქნება.

საზოგადოება "აბაშელი",

საქართველოს "ჰელსინკის კავშირის" აბაშის განყოფილება, საქართველოს "ილია მართლის საზოგადოების" აბაშის განყოფილება, ეროვნული გვარდიის "ვეტიკანთა კავშირის" აბაშის განყოფილება, საზოგადოება "ეროვნული მოძრაობის ვეტიკანთა კავშირის" აბაშის განყოფილება

ჯალალონია-ჯალაღანიების ბვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს პატალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალაღანიების გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახულებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 599-57-33-22, 597-34-43-70 - ორლანდ ჯალაღანია).

კოლხეთი – პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორო" №171-264

საჭიროა შექმნას კომისია, რომელიც მოამზადებს ზუსტ მასალებს საქართველოსათვის წარმეული ტერიტორიების შესახებ და წარუდგენს მას ცივილიზებულ სამყაროს. ჩვენ უნდა დავიბრუნდეთ წართმეული და თურქეთისათვის გადაცემული ტერიტორიები, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის ბოლშევიკების მიერ გადაცემული მიწები. XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი დააყენეს სტალინმა და ბერიაამ, რომელიც უსათუოდ დადებითად გადაწყვეტდა, მაგრამ, ეს გეგმა ჩაიშალა. სხვა მიზეზებთან ერთად, როგორც აღინიშნა, ამ გეგმის განუხორციელებლობის მიზეზი, ჩვენ ქართველებიც ვიყავით, – შეითხზნეს მეგრული ნაციონალიზმის „საკითხი“ და სტალინსა და ბერიას შორის უკმაყოფილება შექმნეს.

რუსაძე-მგელაძის ჯგუფის მიერ პირველობისაკენ სწრაფვამ და სამეგრელოსა და ხელმძღვანელი მეგრელების დიდმა ავტორიტეტმა და სახელმა, საქართველოს თავისი უმდიდრესი მიწა-წყლის დაბრუნების შესაძლებლობა დაუკარგა. სტალინი მოკლეს და ამით ყველაფერი დამთავრდა.

საქართველოსათვის თავისი, კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნება უნდა მოხდეს იმ ქვეყნებთან კეთილი ურთიერთობით, შეთანხმებით, რომლებსაც მითვისებული აქვთ ქართული მიწები. აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნება უნდა მოხდეს საერთაშორისო კომისიის ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით, მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

ქართველი ხალხი არ თხოულობს ძველი კოლხეთის (საქართველოს) კუთვნილ უზარმაზარ ტერიტორიებს, რომელიც მას კუთვნიდა ათასი წლის განმავლობაში.

უძველეს ქართულ მიწაზე, ისტორიულ ქართულ მიწაზე, გასხვისებულ ქართულ მიწაზე, ჩვენ სისხლისმომცემი მოქმედებაზე მუდამ მივანებნებ და თავს არასდროს გავიწყვებს ჩვენი განუმეორებელი ძირისა და ფესვების დასტურის და შექურა, თურქეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი, ზოგიერთი სავალალო მდგომარეობაში მყოფი ჩვენი კულტურის ძეგლები, ძვირფასი სიწმინდეები: ბანა, რომელიც ძალიან დაზიანებულია (ბაგრატიონთა საძვალეა), ხანძარი, შატბერდი – თავის დროზე უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრები იყო (მათზე ქვემოთაც გვექნება საუბარი).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მრავალმილიონიანი ქართველი (და მათი ლიდერები) ყველაფერს აკეთებენ, რომ შეინარჩუნონ მებოძა, შეინარჩუნონ ქართული ენა, არ დაივიწყონ ვისი გორისანი არიან. სამწუხაროა, რომ ქართველთა დიდმა ნაწილმა დაივიწყა ქართული ენა, დაკარგა მართლმადიდებლური რწმენა და მამკლავიანები გახდნენ. ქართული მეობისათვის თავგადადებული ქართველთა შორის, აქ მხოლოდ, თურქეთის ქართველების იღია ჰაგაგაძეძე წოდებულ აჰმად მელაშვილზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას. ის 1922 წელს დაიბადა ბალიქისირში, სპეციალობით იყო არქიტექტორი. მუსტაფა იაქუთის – გურამ ხიმშიაშვილის თქმით აჰმად მელაშვილი ხოვკელნიარად ცდილობდა თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია დედა-ენის, სამშობლო-საქართველოს, ქართული კულტურის, ქართული მწერლობის, საქართველოს ისტორიის შესახებ. და „თურქ“-ქართველებს უღვიძებდა ქართულ სულს.

იღია ჰაგაგაძის სადარბა „თურქმა“ – აჰმად მელაშვილმა თავის შვილებს ქართული სახელები – თამარი და იბერია დაარქვა, რომლებიც მამის ღირსეული მემკვიდრეები არიან.

აჰმად ოსქან მელაშვილმა ჩამოაყალიბა ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლი, ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, სცემდა ქართულ ჟურნალს, 1963 წელს დაწერა საოცარი წიგნი „გურჯისტანი“ – „საქართველო“, რომელსაც თურქეთში მცხოვრები ქართველები დიდი სიხარულით შეხვდნენ. თურქეთის მთავრობამ წიგნის ავტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და თავი დაანება.

დიდმა ქართველმა აჰმად მელაშვილმა ვერ მოასწრო მრავალი ოცნების ასრულება, ის 58 წლის ასაკში, 1980 წლის 5 ივლისს ბურსაში მოკლეს. დღეს, 2011 წლის 5 ივლისს, სამშაბათს ვწერ მასალებს ა. მელაშვილის შესახებ. სწორედ დღეს 31 წელი შესრულდა მისი სიკვდილიდან, ის მიმდინარე წელს 89 წლის გახდებოდა – რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლო. ეს დღე ჩემთვის მეტად მძიმე იყო (კ. შ.).

აჰმად მელაშვილი დაკრძალეს საირეში, მის საფლავის ქვეს ქართულად და თურქულად აწერია:

„მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისათვის და არა უკვდავებისათვის“.

ფიქვლმა თამარის საივალეა – ბუენიძემ, ასე დაიტერა იგი: „შენს ადგილას ვერ დაიკავეს მიწიდან რომ ადგეს კაცი... წაგიყვანა ღმერთმა მასთან, ნენეი ვერ იშოვის შენფერს“.

მოგვყავს ამონაწერი „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთი ნომრიდან: „გერბობენ გადმა საქართველოს ციხე-ტაძართა ნანგრევები ჩვენს ტყვიელს? იქ ხომ დიდი ქართველი ქვეყნის პირველი ბოძი გრიგოლ ხანთყელი დადიოდა ჯვარ-სანთლით, ნინობითა და აშენებდა აკოწიწებდა ქართულ სულს და მიწას.“

ბასიანის ველზე ყაყაჩოები სისხლის ყვავილებად ყვავიან.

ჯვრაც ისმის „ღარ არს ჭეშმარიტად“ მკერდშენგრეული ხანძიდან და შატბერდიდან, ვაჩაძორიდან...

ბანას ახლა პნეპი-ჰქვია. IX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა სატახტო ქალაქი იყო. XI საუკუნის პირველი ნახევრის შემატანე სუბპატ დავითის ძე იხსენებს ბანას IX-X საუკუნეების ამბების თხრობისას: მეფე დავით ბაგრატიონის ძემ, ადარნასემ „აღაშენა ბანა ხმლითა კვირიკე ბანელისათა, რომელ პირველი იბი იძნა პირველ ეპისკოპოს ბანელ...“.

ბანას ეკლესიაში იმარხებოდნენ ერთ დროს ბაგრატიონები, უკანასკნელად აქ დაასვენეს ვახტანგ IV (1442-45) და მისი მეუღლე, ფანასკერტელის ასული საი-ხათუნი. ბაგრატიონები ძველი ქართული პროვინციიდან – სპერიდან ანუ ისპირიდან იყვნენ (ეს ტერიტორია ისეთივე კოლხური ტომებით იყო დასახლებული, როგორც აფხუზები, ხალიბები, მოსინიკები, მაკრონები, კარდუხები, ტიბარენები და სხვ.). ბაგრატიონებმა, თავიანთ მამულში, მდინარე ჭოროხის ზემო წელში, საფუძემდებ დაუდგეს საერთო ეროვნულ დინასტიას.

ბაგრატიონთა ქართული შტოს გაერთიანება VI საუკუნეში მოხდა. მოგვიანებით ბაგრატიონები აფუძნებენ ტაო-კლარჯეთის „ქართულ სამეფოს. IX საუკუნეში ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო ორ მთავარ შტოდ – ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად გაიყო. პირველობა ტაოს ბაგრატიონებს ერგოთ. სწორედ ამ შტომ IX საუკუნის ბოლოს მიიღო „ქართველთა მეფობა“, ხოლო XI საუკუნის მიწურულს საქართველოს მეფობა“ (ნიკო მურღულია, ბაგრატიონთა წარმომავლობის საიდუმლო, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2002 წ. 28 ნომერი-5 დეკემბერი, გვ. 14.) აღნიშნული შტო ქვეყანას მართავდა XIX საუკუნის დასაწყისამდე, 1801 წლამდე – რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე.

ბანა ფერად-ფერადი მოწითალო მოყავისფრო ბორცვებისა და კლდეების გარე-

მოცვაშია მოქცეული. ამ სივრცის შუაში, ერთადერთ ბორცვს თავზე გვირგვინად ადგას უმშვენიერესი კათედრალი. ამ ტაძარში დაუწერილით ჯვარი დავით აღმაშენებლის ბეგია-ბაბუას – ბაგრატ IV-ს და ბიზანტიის იმპერატორის ძმისწულს, ელენეს.

1843 წელს გერმანელ ბოტანიკოს კარლ კოსს მთელი თავისი სიდიადითა და ბრწყინვალეობით უხილავს ბანა და აღფრთოვანებული უხრდა: კონსტანტინეპოლის სოფის შემდეგ ბანა არქიტექტურის ყველაზე მშვენიერი ნიმუშია, რომელიც მე აღმოსავლეთში ვნახეო. VIII საუკუნეში აგებული ბანას ტაძარი მსოფლიო ქრისტიანული ხელოვნობის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლია. ეს ის ადგილებია, სადაც XIV საუკუნეშიც აშენდა ფულესა და საფარის დიდებული ტაძრები. ამ ქრისტიანულ სიწმინდეებში დამპყობელთა შემოსევის შემდეგ, არაფერი დადებოდა, კარგა რამე არ გაკეთებულა, ხშირად ქართულ ქრისტიანულ ტაძრებს მენათესავე აქცევდნენ და აქცევენ, ხშირად მწყემსის ადგილსამყოფელი და ცხვრის ფარეხებიც იდგა.

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ეკლესიის გარშემო რუსის „ოტრიადი“ იდგა, იქ ბანაკი ჰქონდათ ოსმალებსაც. ყირიმის ომის დროს ბანა ციხედაც გადაქცევიდა. 1881 წელს დიმიტრი ბაქრაძეს ტაძარი გუმბათნამოქცეული დახვდა.

ასე იყო სხვა ტაძრებიც. იშხანის ულამახესი ტაძარი მდიდრულად ყოფილა მოწყურებული, წითელ-ყვითელი ქვით, მონატრული ფრესკებით. აქ თავიდანვე მიმდინარეობდა დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რომელიც ხელს უწყობდა ქართველთა ღვთის რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას. აქ მოღვაწეობდნენ დიდი სულიერი მამები. ულამახესი ასომთავრული და მხატვრული წარწერები მოიხსენიებენ ქართველთა მეფე ადარნასე II-ს (923)და მის ოთხ შვილს, მეფე დემეტრე I-ს, მის დას შორვან-შაჰ აღსართანის მეუღლეს დედოფალ თამარს, გიორგი II-ს, დავით აღმაშენებელს, მეფე დავითს, მეფე გიორგი III-ს. იშხანის საეპისკოპოსო კათედრა თურქთაგან სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგაც განაგრძობდა მოღვაწეობას. გაუქმდა XVII საუკუნეში.

ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესია-ტაძრები, სხვა ხელთუქმნილი ძეგლები – წმინდა ადგილები ფეხით აქვს შემოვლილი, ადწერილი, დასურათებული საქართველოსათვის თავისწმინდულ პატრიოტს დიდ ქვეთიმე თაყაიშვილს.

2007 წლის 10 დეკემბერს ართვინის ვილაიეთში ჩამოინგრა ქართული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ძეგლი ხანძის ტაძარი. ჩამოინგრა ტაძრის უნიკალური 12-წახნაგოვანი გუმბათი და სხვა კონსტრუქციები. ტაძარი IX საუკუნის დასაწყისში ქართველთა საეკლესიო მოღვაწემ გრიგოლ ხანთყელმა (გრიგოლ ხანთყელი – გამონივნილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ორგანიზატორი, გარდაიცვალა 861 წლის 22 დეკემბერს.) ააგო. მას მშენებლობაში ეხმარებოდნენ აშოტ და გურგენ ერისთავები. თურქეთის კულტურის სამინისტრო თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული ძეგლების რესტავრაციაში დაეხმარება საქართველოს. მხარეები ერთობლივ პროგრამას განახორციელებენ, უახლოეს დროში დაგეგმილია ხანძის ტაძრის აღდგენა. (გაზ. „ალია“, 2007, 15-17 დეკემბერი, №146, გვ. 11; გაზ. „ახალი თაობა“, 2007, 17 დეკემბერი, №347, გვ. 2.) (თუ შეთანხმება შესრულდა).

როგორც აღინიშნა 1921-1922 წლებში ბოლშევიკებმა რუსეთის ფედერაციას, აზერბაიჯანს და სომხეთს გადასცეს საქართველოს კუთვნილი უზარმაზარი ტერიტორიები.

მოგვაქვს ადგილი აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას სტატიიდან „საქართველოს ერთადერთი მოკავშირე თავისი ხალხია“ (ვლადიმერ ვახანია, საქართველოს ერთადერთი მოკავშირე თავისი ხალხია! გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2007, 31 დეკემბერი 2008 – 13 იანვარი, №1, გვ. 2-3-4.): ავიღოთ მაგალითი „მეოცე საუკუნის იმ პერიოდ-

დან, როცა სსრკ რესპუბლიკები ყალიბდებოდა, სწორედ ჩვენი თანამემამულის სერგო ორჯონიკიძის წინადადებით სოჭის რაიონი (რომელიც ისტორიულად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა) გადაეცა რსფსრ კრანსოდარის მხარეს. თავის დროზე სტალინს უთქვამს ორჯონიკიძისთვის: „შითამომავლობისთვის ამას შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგები ჰქონდეს“. ორჯონიკიძის წინადადებისათვის სტალინს წაუწყრია: „მიზანშეწონილია გადაეცეს იჯარით“. სსრკ-ში ეროვნებათშორისი ურთიერთობების განსამტკიცებლად სტალინი უადრესად მნიშვნელოვან მომენტად თვლიდა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ თანხმობას ისტორიული საზღვრების გამიჯვნის საქმეში.

კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ზაქათალის რაიონი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და აშკარად ახერხებდა ხანის შემადგენლობაში. აქ კომპაქტურად ცხოვრობენ ქართველები და ქართული ეკლესიის სიწმინდეები. ესეც ჩვენი თანამემამულის თანხმობით და ხელშეწყობით მოხდა“.

ჩვენი უახლოესი მეზობელი, მეგობარი ქვეყანა სომხეთი, მითვისებულ 3812 კვ.კმ ტერიტორიასთან ერთად, წარმოუდგენელ პრეტენზიებს აცხადებს სამცხე-ჯავახეთზე, ასევე ტაო-კლარჯეთს, ყარსს, არზრუმს, სპერი, ტრაპიზონს სომხურ მხარედ აქვთ გამოცხადებული, იმასაც კი არ ერიდებიან, რომ იქ არსებულ ქართულ ისტორიულ ძეგლებს სომხურად აცხადებენ. ახლახან, რუსულ მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში ხანძისი, ხახულის ქართული ისტორიული ძეგლები სომხურადაა გამოცხადებული. არც ისე დიდი ხნის წინ აფხაზეთში მცხოვრები სომხები დაუნდობლად იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. სპეციალური, ბაგრატიანის სახელობის ნაწილები ჩამოაყალიბეს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, 1918 წლის 7 დეკემბერს სომხეთის ხელისუფლებამ ომის გამოუცხადებლად დაიწყო საომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

ქართველმა მცირე მესახდვრე ნაწილებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, სომხებმა ხელში ჩაიგდეს მრავალი ასული რკინიგზის ვაგონი, ორთქლმავლები, ჯავახოსანი მატარებელი, დაატყვევეს 100-ზე მეტი ქართული ჯარისკაცი და ოფიცერი. 18 დეკემბერს – მეტეხის დაწყების დღესვე ქართველებმა სძლიეს სომხეთის არმიის ნაწილებს. 28 დეკემბერს ულანოვთან განადგურებულ იქნა სომხეთის არმია.

1918 წლის 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. 1919 წლის 22 იანვარს მხარეებმა ხელი მოაწერეს დროებით სამშვიდობო ხავს. შეიქმნა ლორეს ნეიტრალური ზონა. მიუხედავად დამარცხებისა, შემდეგში, როგორც ითქვა, აღნიშნული ნეიტრალური ზონა სომხეთის ხელში გადავიდა.

1921 წლის ივლისში თბილისში ჩამოვიდა ი.ბ.სტალინი, რომლის მონაწილეობით, 7 ივლისს ჩატარდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველო-სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. ი. სტალინის მონაწილეობითა და უშუალო მითითებით როგორც ითქვა, სომხეთს გადაეცა საქართველოს ისტორიული ოლქი – ლორე, რაც შეეხება ახალქალაქის რაიონის სომხეთისათვის გადაცემის საკითხს – განსახილველად გადაეცა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც უარი თქვა ამ რაიონის სომხეთისათვის გადაცემაზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, პარიზის საზავო კონფერენციაზე სომხეთი ახლად შექმნილ ერთა ლიგის სხდომებზე ავრცელებდა რუქებს „დიდი სომხეთის“ შესახებ და საქართველოს პრეტენზიებს უყენებდა. სომხეთის უსაფუძვლო და უპასუხისმგებლო მოთხოვნებს საქართველო შესაფერის პასუხს აძლევდა.

აღნიშნულ საკითხზე და, საერთოდ, სომხეთზე აქ ამდენს არ ვილაპარაკებდით, მაგრამ სომხეთის გარკვეული წრეები დღესაც განაგრძობენ ანტიქართულ საქმიანობას.

კლიმენტი შვილია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ენა და მიტყველება

რატომ ეწოდა სამეცნიერო ორგანიზაცია და თვით მეტყველება საცენარეო?

თბილის-ქართული ნინა/ენა (ენა) ნაწარმოები უნდა იყოს ძირისეული ფორმიდან ნუნე (ორკეცი ნე). ბეგრა-სიტყვა ნე წყლის არქაული სახელწოდებაა. წყალი კი სიცოცხლის წყაროა. სიცოცხლის წყაროა, ასევე, სამეცნიერო ორგანიზაცია და თვით მეტყველება, რადგან ორგანიზაცია ველურმა ცხოველმა მეტყველების დაწყებისთანავე დაიწყო აზროვნება. აზროვნება კი სიცოცხლის ძალის მომცემია.

ადამიანთა საურთიერთობო საშუალებას, ზოგადად, მეტყველება ჰქვია, ხოლო ესა თუ ის ენა კი მხოლოდ გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის საურთიერთობო საშუალებაა. ე.ი. ენა და მეტყველება ერთიანი ფუნქციის მატარებელია, მაგრამ მეტყველება უფრო ზოგადი და ფართო მცენებაა, ენა კი კერძო და მრავალა. ვერც სამეცნიერო ორგანიზაცია ვერც მეტყველების გარეშე იქნებოდა სიცოცხლე. ამიტომ სამეცნიერო ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის მოქმედების პროექტს – მეტყველებასაც ეწოდა წყლის – სიცოცხლის წყაროს სახელი ნუნე. ამ ორი რეალობის (სამეცნიერო ორგანიზაცია და მეტყველების) არსებობის გარეშე არ იქნებოდა სიცოცხლე და ვერც ვერაფერს გააძვირებდა სამყაროს და შემოქმედის არსებობას, ამდენად, მეტყველების გარეშე ვერც სამყარო იარსებებდა და ვერც შემოქმედი. სწორედ ამიტომ შექმნა უზენაესმა შემოქმედმა თავისი სიდიადის შემცნობი არსება, პოტენციური ღმერთი – ადამიანი, სამეცნიერო აპარატითა და მეტყველების უნარით. სწორედ ამიტომ წყარო ითანეს სახარებაში: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა (იგივე მეტყველება, ე.ი.) იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერვე შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი“.

წარმოუდგენელია ზემოხსენებულს დიდი ინტენსივობით არ გასცნობოდა სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებები (თუ არ იცნობენ მით უარესი მათთვის და ქვეყნისთვის), მაგრამ, მიუხედავად ყოველივეს, მწვავედ დგას პრობლემა: ე.წ. მერტული (იბერიული) ენის არსებობა იმ ძალიან და შესაძლებლობებით, რომელსაც ის დღეს ფლობს, სახარებლობა ქართველი ერის არსებობისა და ზრდა-განვითარებისათვის, თუ ამ შესაძლებლობების რეალიზება დაშლის ქართულ ენას და საქართველოს. და ეს ტრაგედია რომ არ მოხდეს, აუცილებელია თუ არა აღნიშნული გლობალიზაციის ფენომენის, უკეთეს შემთხვევაში, კიდევ უფრო შემთხვევაში კი დიალექტად მაინც დაკანონება.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად

აუცილებელია პასუხი გავცეს კითხვებს:

1. რომელია კაცობრიობისათვის მეტი ღირებულების, ამ გლობალიზაციის ფენომენის აღიარება და შესაძლებლობების სრულად რეალიზება, თუ ქართული ენის არსებობა მის გარეშე?

2. რა უფრო დაშლის ქართულ ენას და საქართველოს, იბერიული ენის შესაძლებლობების რეალიზება, თუ მისი შესაძლებლობების შეზღუდვა და დაკნინება?

3. შეიძლება თუ არა ერთ ქვეყანაში არსებობდეს ორი და მეტი ენა;

4. რა გადაარჩენს ქართულ ენას და საქართველოს და, საერთოდ, იბერთა მოდემას?

– ყველა მეცნიერება საზოგადოებისა და კაცობრიობის განვითარებას ემსახურება. ამიტომ ფასდაუდებელია ნებისმიერი მათგანი. ყველა მეცნიერება სოციალისტური ცხოვრებაში მისი ჩასახვის საფუძვლებით იწყება, საერთო მეცნიერო საზოგადოებამ კი, თავისა და სამარცხვინოდ, 1866 წელს, პარიზში, საერთოდ, აკრძალა ენისა და მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა, რადგან უნაყოფოდ მიანდათ, ხოლო იმ მკვლევართა შრომები, რომლებმაც ეს აკრძალვა დაარღვიეს და ჩაწვდნენ მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებს. „დეკლარაციის მეცნიერება“ მეცნიერულად არ ნათვალს და ამ მკვლევარებს აუკრძალეს სამეცნიერო დაწესებულებებში მოხსენებების გაკეთება და, რა თქმა უნდა, სასწავლო დაწესებულებებში ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობაც.

რაშია საქმე? – საქმე მაგნეტულ პოლიტიკაშია. ადამიანი ბუნებით ეგოისტი, ნაკლებად შრომითა და საზრუნავით სურს უზრუნველი და ტკბილი ცხოვრება. ამიტომ მცირეოდენი მიღწევით კმაყოფილდება. მიღწევით კმაყოფილება კი თვითლიკვიდების წინაპირობაა. არადა ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა ენათმეცნიერების ზრდა-განვითარებისათვის კვლევის უნიკალური და შეუდარებელი ობიექტია. ამდენად, ის ფასდაუდებელი განძია კაცობრიობისათვის. ქართული ენა, ამ ფენომენის გარეშე, უსაძირკველი ტაძარია, რომელსაც ხანგრძლივი არსებობა არ უწყია. ე.ი. ენათმეცნიერების განვითარება და საქართველოს არსებობა, აღნიშნული ფენომენის გარეშე, წარმოუდგენელია.

– თუ, მართლაც, მეგრული ენის შიში არსებობს და, მართლაც, არსებობს ასეთი შიში, მისი მთელი სიმძლავრით გამოჩენის შიშია, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, მისი შეუდარებელი ძლიერების, ღვთაობისა და ფუძე ენობის აღიარებაა; ხოლო ე.წ. მეგრული, რომელიც დღესათვის, მხოლოდ 7-8 რაიონს მოიცავს და მისი ძლიერების გამოჩენა თუ ქართულ ენას და საქართველოს დაშლის, როდემდე უნდა მოვიტყუოთ თავი, იგი არც ყოფილა არსებობის ღირსი. მაგრამ ასეთი

საშიშროება მოგონილია, სინამდვილეში სხვა საშიშროება არსებობს: საერთო სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკის 66% ნასესხები სიტყვებისაგან (აკაკი შანიძის გამოკვლევით) შედგება, მხოლოდ 34%-ია ეროვნული (იბერიული) წარმოშობისა, რადგან მის ეტიმოლოგიას სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე მხოლოდ იბერიული ენა ხსნის. მაგრამ, რამდენადაც უცხოური, ნასესხები ლექსიკა გატარებულია ეროვნულ (იბერიულ) გრამატიკულ ბრძანებში (იბერიული და ქართული ენის გრამატიკა თითქმის ერთნაირია), ეროვნული კომპონენტის წილი საერთო სალიტერატურო ენაში 50%-ზე მეტია და ეს კომპონენტი ასაზრდოებს და განაპირობებს ქართველი ერის ეროვნულობას, თვითმყოფად კულტურას და ხელს უწყობს მის შემდგომ ზრდა-განვითარებას. ხოლო ამ კომპონენტის გაუცხოება, ან მისი როლის შეუფასებლობა და დაკნინება ნამდვილად დაშლის საქართველოს და, საბოლოოდ, ბოლოს მიუღებს მის არსებობას.

– შეიძლება ერთ სახელმწიფოში არსებობდეს რამდენიმე ენა და არსებობს, კიდევ, ზოგ სახელმწიფოში, მაგრამ შეუძლებელია ერთ სახელმწიფოში არსებობდეს ორი სახელმწიფო ენა.

მართალია, სწორად გავიგონებთ ფრაზას: „მრავალფეროვნებითა ვართ მდიდარი“, მაგრამ ეს მხოლოდ ლოზუნგია, ამ მრავალფეროვნების გამოყენებას, სამწუხაროდ, არავინ ცდილობს.

გონიერი სახელმწიფო მმართველობა სახელმწიფოში არსებულ ენებს ევკატორად გამოიყენება სახელმწიფო ენის ზრდა-განვითარებისათვის, მაგრამ მმართველობა, რომელიც აფინანსდება საკუთარი დედის საშობის მიყურადებელი მწერლების „შეფერებას“ და ერთპირობითი ქორწინების დეკლარაციას და გარყვნილებისთვის ფართო ასპარეზის მიცემას დემოკრატიულ რაცხვას, ხოლო დეკლარაციის მექანიზმების სიდუხჭირეში აძობდა სულს, ღვთაური ენის არსებობა და შესაძლებლობების გამოვლინება, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა ერის გარყვანას და გაათახსნებდა. ამიტომაც არ სურდა მისი არსებობა და ამიტომაც არ რეაგირებდა ჩვენი მრავალჯერად კითხვებზე და მოთხოვნებზე.

– ჩვენი აზრით, ქართულ ენას და საქართველოს გადაარჩენს მეგრული და სვანური ენის გონიერული გამოყენება, ამ ორი უნიკალური უძველესი ენის ლექსიკისა და ენობრივი მონაცემების საერთო სალიტერატურო ქართულ ენაში დანერგვა და გამოდირება. გონიერული შიდა ეროვნული პოლიტიკა თანდათანობით წაშლის შიდა ენობრივ განსხვავებებს, ხელს შეუწყობს ერთიანი ეროვნული სულის ჩამოყალიბებას და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, მაგრამ ამას შეიძლება ის ხალხი, რომელ-

იც მეგრული ენის პათოლოგიური შიშითაა დაავადებული?

– რა თქმა უნდა, არა.

ამიტომ, ბუნებრივია, გვიჩნდება ეჭვი, ფარულად ხომ არ არის გაბატონებული უცხო აგრესიული ძალა საქართველოში, რომელსაც ქვეყნის ეროვნული ფესვები უშლის ხელს თავისი პეგემონობის ლეგალიზებაში. ასეთ შემთხვევაში, აგრესიონის ინტერესების გადასაჭრელად ზედგამოტრიალი იქნებოდა ეროვნულობის განსაზღვრელი ძალის დაშლა, რაც მეგრული ენის მიმართ შოვინისტურ მიდგომასთან შეგუებაში გამოიხატება, ან, უარეს შემთხვევაში, მისი იძულება გავიდეს ქვეყნის შემადგენლობიდან. ასეთ ეჭვს იწვევს ქართველთა სამარცხვინო დემილი ჩემი წერილების მიმართ, ასევე, ისიც, რომ ცნობილ გაზეთებში, რომლებსაც კითხულობს ხელისუფლება და საზღვარგარეთიც, ჩემი წერილების გამოქვეყნებას ვერ ბედავენ, ე.ი. გაზეთები, რომლებსაც მკითხველთა ფართო აუდიტორია ჰყავს, ნებისმიერ შემთხვევაში, ფარულად გაბატონებულ უცხო ძალას ემსახურება. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველებს, ფაქტიურად, სახელმწიფო არა გვაქვს.

თუ დავეუშვებთ, რომ არავითარი უცხო ძალა არ მოქმედებს, მაგრამ რადიკალიზად მოპოვებული პეგემონობის დაკარგვის შიში აწუხებს ქართული სახელმწიფოებრიობის „კომპაგნის“, ასეთი ფაქტორი არ არის იმდენად საშიში, რადგან ეს ჩვეულებრივი ადამიანური ეგოისტური ფაქტორია და ასეთის შეგება შესაძლებელია, მაგრამ აქ საჭიროა ეგოიზმის დაძლევა და, თუნდაც საკუთარ თავში, საკუთარი სისუსტის გულწრფელი აღიარება, რაც საკუთარ მეში არსებული შესაძლებლობების უკმარისობის აღიარებას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს ევლინება სურვილი ამ უკმარისობის აღმოსაფხვრელად და საკუთარი ძალების მობილიზაციით აღწევს აღნიშნული უკმარისობის აღმოფხვრას. მაგრამ ქართველ კაცს ყველაზე უფრო ამ ეგოისტური სისუსტის დაძლევა უჭირს და ეროვნული ენერჯის უდიდესი ნაწილი შიდა უთანხმოების გამო ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იხარჯება, რაც ისევ ქვეყნის დაშლას უწყობს ხელს. ამ უთანხმოების დარეგულირება მხოლოდ გონიერ ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია. გონიერ ეროვნულ ხელისუფლებას კი მხოლოდ გონიერი საზოგადოება შობს. მამულიშვილნი, მიუხედავად ამისა!

კჰუპური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერთო-სამეცნიერო აკადემიების წევრი,
კოლხური კულტურული მემკვიდრის მემწე
შესწავლისა და კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

წინასიტყვაობა: 2014 წლის 24 თებერვალს მე, საქინფორმის მთავარმა რედაქტორმა, საქართველოს მთავრობის მოუთხოვე, სასწრაფოდ შემოვიღოთ საეზო რეჟიმი უკრაინასთან, რათა უკრაინელ ბოვიკებს ვერ შემოვლწიოთ საქართველოში და საერთაშორისო ტერორისტული სააკაშვილის ხელმძღვანელობით თბილისში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება არ მოეწყო, როგორც კიევიში.

და აი, 2014 წლის 7 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა „პრამ ტაიმთან“ ინტერვიუში საჯაროდ აღიარა, რომ საქართველოში უკრაინიდან ჯგუფებმა შემოაღწიეს, რომლებიც ტრენინგებს სწორედ ამ მიზნებით ატარებენ.

საკაშვილს და ტიმოშენკოს პანიკურად ეშინიათ კანონის, რომელსაც მათთვის მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი – პუტინი განასახიერებს. აფერისტმა სააკაშვილმა და ქურდმა ტიმოშენკომ იციან, რომ მხოლოდ პუტინს შეუძლია აიძულოს ისინი, პასუხი ავონ მრავალრიცხოვანი სისხლიანი ავანტიურებისთვის, რომლებსაც angloSEX-ების დახმარებით ახორციელებდნენ, რუსეთის და მისი პრეზიდენტის განადგურება რომ სურთ. აშშ-ს მსოფლიო ბატონობისკენ გაზახე ხომ მხოლოდ რუსეთი და მისი პრეზიდენტი ელბებთან და ხელს უშლიან პროექტის „ბატონი და მონები“ განხორციელებაში!

უნდა ვეღიაროთ, „ტკბილი წყვილი“ ნიჭიერია – რუსეთისადმი სიძულვილში მათ USA-ს ისტორიის მანძილზე ყველა „დემოკრატიის მამას“ აჯობებს, ხოლო მაკეინის ტიპის თანამედროვე რუსოფობები, თავიანთი საუკეთესო აღზრდილების შემდეგარე, იფსამენ – ან გულის აწუქებისგან, ან შარდის შეუკავებლობისგან, რაც ვიეტნამში ტყვეობის შემდეგ სჭირთ...

ორივე – რუსები არიან, რადგან იზრდებოდნენ და სწავლობდნენ რუსულ ენაზე, რომელზეც დღესაც უკეთესი პარაკობენ, ვიდრე ყველა დანარჩენზე! ტიმოშენკო შედარებით ცოტა ხნის წინ, გაჭირვებით შეისწავლა უკრაინული დიალექტი, რომელზეც ისევე საძაგლად ლაპარაკობს, როგორც სააკაშვილი – ქართულად. ამიტომ ყოფაცხოვრებაში, როდესაც სცენიდან ხალხის მოტყუება საჭირო არ არის, ისინი რუსულად ლაპარაკობენ, წერენ და იფინებენ კიდევ: მაგალითად, როდესაც ტიმოშენკო ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ დედას იფინება და მოუწოდებს „რუსეთისგან გადამწყვარი მიწაც არ დატოვონ“, „კაცაპები და მათი ხელმძღვანელები ატომური იარაღით გაანადგურონ“, ანდა

არნო ხილირბებიშვილი:
“ფეშლილის ჩანაწერები, ანუ მიშკა სააკაშვილის პაი-ბანკი“

როდესაც სააკაშვილი რუსულად წერს სტატიას „ომი ახლოვდება. რატომ არ მშვიდდება რუსეთის შემადილი მეფე“ (War is Coming. Why there is no appeasing Russia's mad king), რომელიც „Foreign Policy“-ში შემდეგ ინგლისურად თარგმნა. ამ სტატიაში, რომელსაც „შეშლილის ჩანაწერები“ გარდა ვერაფერს დაარქმევ, ოფიციალური ფსიქოპათია და ნარკოზაღი სიგაჟში სხვებს დანაშაულებს, რაც ძალიან სახასიათოა ავადმყოფების ამ კატეგორიისთვის. მხდალი ვითხა სააკაშვილი, რომელსაც ესმის, რომ საუკეთესო თავდაცვა – თავდასხმაა, პუტინს და რუსეთს ავთვისებიან სიმსივნეს აღარებს და დასავლეთს აკრიტიკებს იმის გამო, რომ ისინი კბობს მხოლოდ ასპირინით ებრძვიან.

ტიმოშენკოს მრჩეველი და საყვარელი თავისი ვითხის აღლით ხვდება, რომ ამერიკასა და უკრაინას შორის დაუსრულებლად ყოფს ვერ მოახერხებს. სააკაშვილს ესმის, რომ ადრე თუ გვიან მოუწევს პასუხი ავთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის, ყირიმისა და სევასტოპოლისთვის, რომლებიც საქართველომ და უკრაინამ მისი გიჟური გეგმე-

ბის წყალობით დაკარგეს. მიხეილს ესმის, რომ ქართველი „ნაციონალების“ ლიდერობიდან ის დღეს უკრაინელი ნაციონტების იდგურს მეთაურობამდე დაეშვა, რომლებმაც 21-ე საუკუნეში ვერძობის ცენტრში ნეოფაშისტური გადატრიალება მოახდინეს!

განკითხვის კამი ახლოვდება და არაპოპულარული თუკა საქართველოს პროკურატურაში გამოძახებულ მიშასთან ერთად ვაი-ბანკზე წავიდნენ: უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ რეზერვი მოხსნა 900 ერთეულ სამხედრო ტექნიკას – ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, ტანკებს, საწვავარებს, ეს კი ნიშნავს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე პროვოცირებული იქნება სამოქალაქო ომი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთთან, რომელშიც რუსეთს ჩაითრევენ (ზუსტად ისე, როგორც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში). ეს „მარჯვენა სექტორის“ ბანდერელებს შორის ტიმოშენკოს რეიტინგს აამაღლებს და მას „ეროვნული უკრაინული ინტერესებისთვის“ მებრძოლის შარავანდით შემოსავს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში მეთაურებს პუტინის მხვერპლად გამოაცხადებენ, რომელიც „მისთვის სასიფათო რეგოლაციურ წყვილს მიშა+ულისას გაუსწორდა“.

წარმატების შემთხვევაში კი სააკაშვილი თბილისში ჩამოფრინდება, სადაც მას მოუთმენლად მოელიან კარგად შეიარაღებული, ნავარჯიშები და ნატრენინგები რაზმები (როგორც ადგილობრივი, ისე უკრაინიდან ცოტა ხნის წინ ჩამოსული) და „ვერომიდან 2“-ს უკვე რუსთაველის პროსპექტზე მოაწვობს, რის შესახებაც მე არაერთხელ ვაფრთხილებდი ქართველ ხალხს ბოლო 3 თვის ყველა ჩემს პუბლიკაციასა და ტელეგამოსვლაში. მეტიც, უკვე მომზადებული საზურავეების დაწვა შესაძლოა საჭირო არც გახდეს – საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწიბაში სააკაშვილი მოქმედი ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი-ნონისი მოღალატე დაეხმარება, რომლებიც უკვე მართავენ მასთან საიდუმლო კონსულტაციებს.

არნო ხილირბებიშვილი,
“საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

სამეგრელოს ღირსეული შვილები



აპაკის გარდაცვალების გამო

ეს პატარა კორესპონდენცია მუშნი დადიანს ფრონტის ხაზიდან გამოუგზავნია, აკაკის გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებული.

იგი თავად აკაკის სკოლის პოეტი იყო, „განთიადის“ ავტორის თაყვანისმცემელი და გულისტკივილს გამოთქვამს, რომ „ქართველი ერის სასოებას და მისი განახლების მოციქულს“ უკანასკნელ პატივს ვერ მიაგებს.

ე.კ.

თბილისი. რედაქცია „სახალხო გაზეთისა“.

ხვალ მიაბარებენ ცივ სამარეს დიდებულ ადამიანს, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი დარაჯად ედგა ქართველი ერის მკვდრეთით აღდგენის საქმეს. „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს“. აი, ეს დევიზი ასულდგმულება ჩვენს დიდებულ მგოსანს, ჩვენს ეროვნულ სიამაყეს და თუ საქართველოს ამ ტიტანურს ბრძოლაში სიკვდილი უწერია, აკაკი მაინც როგორც მუქურა ვარსკვლავი სამუდამოდ იკაშკაშებს მომავალ საკაცობრიო ლიტერატურულს ლაფვარდზედ.

ნამებულო სამშობლოვ! ვიზიარებ შენს მწუხარებას. სულითა და გულით ვსწუხვარ, რომ ომიანობის მორევში მცურავმა უკანასკნელად ვედარ ვიხილე მისი მადლიანი შარავანდებით შემკული შუბლი და სახე, რომელსაც გრძნობით ვუახლოვდები და ვეამბორები, როგორც ქართველის ერის სასოებას და მისი განახლების მოციქულს.

მუშნი დადიანი

სვანეთსა და ყარაჩაში გამგზავრება

1906 წლის 13 მარტი ძველი სტილით (26 ახლით) მომავონებს ჩემს წარსულ ცხოვრებაში უსამინლესი გაჭირვებისა და განცდის დღეს! სწორედ ამ დღეს სოფელ ბეჩოდან (სადადეშქელიანო სვანეთი) ექვს სვანთან ერთად, გავემგზავრეთ საშინელი ზამთრისა და ქარ-ბუქის დროს მე და სპირიდონ კეიდი „მიხრასკენ“ და ღამე გავათიეთ ფიჭვნარში. საშინელი იყო ის ღამე ჩვენთვის, მითუმეტეს, ჯერ ახალგაზრდა გამოუცდელი ჭაბუკისთვის, როგორც იყო სპირიდონი. კალამი უძღურია და ენა მეხმის, რომ მოვიწოდო იმ ჯოჯოხეთური ღამის აღწერა. ძლივს გადავრჩით თოვლ-ყინვას. ეჰა! ესეც არის თენდება! გზას შევუდევით რვანივე (მე და სპირიდონს ბეჩოდან ნამოგვეყვა ექვსი სვანი: 1. მიხაი ჩარკვიანი, 2. მუზალათ ჯამდელანი, 3. იოსებ კიბოლანი, 4. პეტრე ვეზდენი, 5. პავლე ვეზდენი, 6. დავით ქარდავა). მაგრამ ვაი ასეთ მგზავრობას. გზა მიდის

— მიჰყვება პატარა მდინარე შიხრას, რომელსაც სვანები „ენგურის თავს“ ეძახიან — პირდაპირ ვინრო ხეობით. თოვს ისე, რომ იტყვიან, ცის ნატეხი სცივიაო. გზის მაჩვენებელი ხელმძღვანელია მაშინ მთელს სვანეთში ცნობილი მონადირე (1906 წ.) სამოცი წლის მოხუცი მიხაი ჩარკვიანი. მას უკან მისდევს ბებერი, მამიჩემის სახლში აღზრდილი მუზა. შემდეგ მე. ჩემს უკან ახალგაზრდა სვანი იოსებ კიბოლანი. მას მოჰყვება სპირიდონი და შემდეგ დანარჩენები. მივდევთ მახაის ნაკვალევს. ვშიშობთ, ფეხი არ ავაცდინოთ. ხშირად გზაზე გვხვდება ზვავი, მაგრამ როგორც იყო, გადავრჩით და უკვე ბინდდება, — მიუახლოვდით „მანია ბაჩას“, 14 მარტს. ეს სახელი გამოქვაბულს ჰქვია იმიტომ, რომ ამ გამოქვაბულში სვანი ქალის, მანიას ერთადერთ შვილს, ნასულს ალანეთში (ყარაჩაში) შურისსაძიებლად და მობრუნებულს გამარჯვებით, ამ გამოქვაბულის წინ, დალილს, ჩასძინებოდა. ნამოწინევენ მდევარი ალანეთი და მოკლეს. დაასვენეს ამ გამოქვაბულში, სადაც მას მიაგნო დედამისმა და იქვე მიწას მიაბარა. გამოქვაბულს ამის შემდეგ ეძახიან „მანიას ბაჩას“. აი, ამ გამოქვაბულში მოვთავსდით რვანივე. ცეცხლი გავაჩაღეთ გაზაფხულის მგზავრებისაგან დატოვებული ნაძვის შტოებისაგან, მაგრამ აბა რას გვიშვე-

პარტიამ შვეიცარიიდან გადმოგზავნა შალვა ამირეჯიბისა და მიხაკო წერეთლის საშუალებით, ხან კი, ვინ იცის, სად დავბოდი. ცოტა უკან უნდა დავიხიო, მოველოდით, რომ ჩვენთან სოფელ მულახში მყოფი გიგა ჯუღელი, სვეერიანე ყიფშიძე, იაკობ გუგუჯიანი (ისინი მულახში თუ მესტიაში კორნელი ჯუღელთან გაემგზავრნენ) ჩვენთან ერთად წამოვიდოდნენ ბეჩოში და ერთადვე გავემგზავრებოდით თერგის ოლქში, სახელდობრ, ყარაჩაში, მაგრამ აღარ გამოჩნილან, რადგან გზაზე სვანებმა დატუსაღება მოუწოდომეს; მათ შეტაკება მოუხდათ და გაიფანტნენ. შემდეგ ისინი ნესტორ ყორყოლიანს წაყვანა, შეენახა. ასე მოულოდნელად დავაცილა ორივე სვანმა ზულიგანმა ძვირფასი ამხანაგები — სოციალ-რევოლუციონერი გიგა ჯუღელი და სოციალ-ფედერალისტი სვეერიანე ყიფშიძე. რომელთა ხსოვნა მარადის ამოუშლელი იქნება ჩემს გულში. ესეც უნდა ითქვას, რომ ექვს სვანში ყარაჩამდის ჩაგვეყა მხოლოდ ბებერი მურზა და მახაი ჩარკვიანი. დანარჩენი ოთხი ახალგაზრდა სვანი მიგვეყვენ მხოლოდ „ქათლა გუგუზამდე“ და ზვავისა და სხვათა შიშის მიზეზით უკან დაბრუნდნენ. ჩვენ ოთხმა, რის ვაი-ვაგლახით (ნაშუალამევის სამი საათი იქნებოდა) გადავიარეთ მდინარე ბაქსანის ხიდი და სო-

გორბუნოვის გაზეთი „პიატიგორსკი“. როცა ამ გაზეთს ვკითხულობდით, გვიკვირდა, სად გაჰქარა ის რწმენა რევოლუციის გამარჯვებისადმი და აღფრთოვანება, რომლითაც იყო მოცული, ასე ვთქვათ, ხალხის უმრავლესობა? განქარდა ყოველივე მისი ნასახი. რეაქციამ მოიცვა ხალხის გული და დაიკავა მისი ადგილი. სპირიდონს მოსწყინდა ამხანარი ცხოვრება და გამოზიარა სურვილი ქუთაისში დაბრუნებისა და იქიდან ევროპაში წასვლისა, სწავლის დასამთავრებლად. მეც დავემორჩილე მის განზრახვას. ახლა საჭირო იყო სადგურ „ნევირომინსკაიაზე“ ცხენით გასვლა და იქიდან ბაქოთი ტფილისისაკენ ადვილად წავიდოდით, მაგრამ სად იყო ფული! ისედაც დავალბულნი ვიყავით ნავრუზ ურუზბიევისაგან და მასვე რანაირად ვეტყოდით სამგზავრო ფული მოგვეციო. ამიტომ ვარჩიეთ ისევე სპირიდონის უკან დაბრუნება იმავე გზით, ბეჩოსაკენ, რომლითაც მოვედით. მე კი გადავწყვიტე განმეგრძო არალეგალური ცხოვრება იმ იმედით, რომ ახლო მომავალში იფეთქებდა რევოლუცია, ხოლო ესხლა მთავრობას ხელში რომ ჩავეგდე, სიკეთეს არ დამაყრიდა, რადგან მქონდა ცნობა, რომ შეტანილი ვიყავი „პროსკრიპციონში“ სიაში ე.ი. გადაწყვეტილი მქონდა სიკვდილი (зачно смертная казнь). 19 აპრილს მე და სპირიდონი დავმორდით ერთმანეთს, თვალ-ცრემლიანები. ის ტფილის-ქუთაისისაკენ სამგზავროდ გამზადებული, მე კი წავედი ყუბანის ოლქისაკენ, დიდ-ყარაჩაში, ისმალე ყირიმ შამხალისას, რომელიც ცხოვრობდა სოფელ თებერდაში. ნავრუზმა გამომაყოლა ერთი სანდო კაცი, რომლის სახელი არ მაგონდება, შემსვა კარგს მეგრულ ბაჩაზე და ორნი, 19 აპრილს, გავემგზავრეთ სოფელ ქერდუკის გზით ბალ-ბაშისკენ (მდ. მალყას სათაურს მთას ქვიან ყარაჩულად) ვიარეთ მთელი ღამე ამ მთიანეთს და ვათენებოდა მივადექით ერთი მენახირის კარავს, რომელსაც ყარაჩულად „ყოშ“-ს ეძახიან. აქ დავიცვენეთ, ცხენებს თივა-ქერი დავუყარეთ, დაგვეძინა. შუადღე იქნებოდა, გამომავლია მასპინძელმა, სადილი მზად ყოფილიყო — უგემრიელესი ცხერის გვერდები, შემწვარი, მანონგადასხმული, მანონი ჰქონდა ისეთი, დანით გაიჭრებოდა, რომ იტყვიან. დავადექით ნასადილევს ისევე გზას და ღამის 12 საათი იქნებოდა, როცა გადავლახეთ მდინარე მალყა, რომელიც საზღვრავს თერგისა და ყუბანის ოლქებს. ვიარეთ მთელი ღამე, მთელი მეორე დღე. საღამოს, დალილი ცხენებით, თითონაც მოქანცულდით, მივადექით ერთ მთიანეთს მენახირეს, რომელსაც, როგორც თანამგზავრი ამბობდა, ათი-ათასი სული ცხვარი ჰყავდა, გარდა ცხენისა, ძროხის ჯოგისა. ის იყო ბინდებოდა, რომ ორი როჭო ასე, ორმოცდაათი-სამოცი ფეხის ნაბიჯზე, დიდ ლოდზე ჩამოვდნენ და დაექიდნენ ერთი-მეორეს და ინყეს ტრიალი და წივილი. მე ამოვიღე ორივე ნიშანში ჩემი მაუზერის თოფიდან და ორივე ძირს დავუშვი, ერთი მკვდარი, მეორე — მხარში დაჭრილი. მასპინძელი დიდად ნასიამოვნები დარჩა ჩვენი სტუმრობით, მაგრამ უფრო დაინტერესა ჩემმა მშვენიერმა თოფმა, „გენელის“ გამოჭედვით. იმ ღამეს სულ მის დათვალეირებაში იყო და არაერთხელ გადმომაღებინა ბოლიდან. ღამე გავათიეთ დიდს გამოქვაბულში, რომლის მსგავსი მე არსად მინახავს. ძალიან გულუხვად გაგვიმასპინძლა მეჯოგე ალანი, დაგვიკლა უშველებელი ცხვარი, გვაჭამა მშვენიერი ლიცმარი, დავლიეთ ბუზა, სრა, აირანი. გამოდგა, რომ ეს ყარაჩი, ხაჯილარების გვარიდან, დედიჩემის ძიძის შვილი იყო და როცა გაიგო, დაუმხანის შვილი ვიყავი, ძლიერ გაუხარდა, გადამეხვია. მეორე დღეს, დილით, რაკი გაიგო ჩემი გაჭირვება, ბევრი მეხვეწა, რომ იქ, მასთან, დავრჩენილიყავი. ფიქრი ნუ გაქვს, მე და ჩემი მოზიარენი შენთვის თავს წავაგებთ, არა დავიშვებებარაო, მაგრამ მე უარზე ვიყავი.

მეზარ კვიტიციანი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მუშნი დადიანი — სამშობლოს შვირული რაინდი

ლიდა ეს შტოები და სიცივისაგან ცოცხალ-მკვდრები, გაყინულნი, გათენებამდის 2 საათი იქნებოდა, გზას გავუდევით ქათლა-გუგუზისაკენ. ახლა ჩვენი გზა ხეობას დაშორდა და მივიღივართ სულ მალა, სულ ზევით. „ქათლა-გუგუზ“ სვანურად მთას ჰქვია, რომელიც მართლა გუგუზას წარმოადგენს. ადინარ მის ხერხემალზე, ვინროზე ვით ქათმის გული, როგორც ცხენის გორგალი (ზურგი). მივდივართ მე და სპირიდონ, მივდივართ კი არა, მივლოდავთ, ხან მუცლით მივფორთხავთ და წვალბისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ავედით უმაღლეს ნერტილზე კავკასიონის მთისა, რომელსაც სვანები „ხარხს“ ეძახიან, ალანები კი „იუსუნგს“. თუ არ ვცდები, ეს მთა არის 13 700 ფუტი ზღვის სისწორეს. აქ ცოტათი უნდა შეგვესვენებინა, მაგრამ ისეთი ქარი იყო მწვერვალზე, ნამგზავრები, გაოფლიანებულები, ძლივს გადავურჩით მის ჯოჯოხეთურ ძალას და ისევ გავუდევით გზას. ესხლა ისევ თითქო ცხენის ზურგზე მივდიოდით, დასავლეთიდან ისევ აღმოსავლეთისაკენ ვიბრუნეთ პირი. საათის 3 ან 4 იქნებოდა, როცა შორს გამოჩნდა თეგენეკლის მოსახლეობა. აქ უნდა ითქვას, რომ ჩემი ტყავის ქალამანს, სვანური ჯაბრანე-რევეით გატენილს, სული ამოხდა. მას თან მიჰყვა თბილი ნაქსოვი სქელი წინდები და ამ თოვლსა და ყინვაში დავრჩი ფეხშიშველი. აქ ერთს ალაგას, სადაც ადამის ფამის გაქვავებული ყინული დახურულია ახალი თოვლით, უეცრად თოვლი გასკდა ჩემ ფეხქვეშ და თქვენი მტერი დალუპულა, როგორც მე დავილუპებოდი, რომ უეცრად უკან მყოფმა სვანმა, მურზამ, ხელი მტაცა და დალუპვას გადამარჩინა. მეორე ალაგას, სადაც უკვე თოვლი ვერ მოიდგამდა სალ კლდეზე ფეხს, მდინარე იუსუნგის სათაურზე, ყინულ ქვაზე დამიცდა ფეხი, მაგრამ თავი შევიკავე და დალუპვას კვლავ გადავრჩი. ჩემზე უფრო თამამად წამოვიდა ახალგაზრდა რევოლუციონერი სპირიდონ კეიდი. მე კი, მართალი უნდა ითქვას, ძალიან დაუძლურებული ვიყავი ავადმყოფობისგან. მთელი შემოდგომა, რევოლუციის ქარ-ტეხილის დროს, მოუსვენრად გავატარე. უმეტესი დრო უსმელ-უჭმელი, უძინარი დავბოდი ხან ანაკლია — ისორთ-გუდავას შუა ზღვიდან იარაღის მოლოდინში. რომელიც ჩვენმა

ველ თეგენეკლში ჩავედით. ელმურზა ხაკილარის სახლში (16 მარტს). ეს კაცი იყო დედიჩემის მკვიდრი ძიძიშვილი და ჩემი პატარა ძმის, ოთარის გამზრდელი. კარზე დავუკაკუნე მაგრამ. მეკითხებოდა: ქიმ-დურ? ყონაყ-ყონაყ, ვეუბნები მე. კარი გააღეს და ოთარის ძიძა მოხუცი სული შემომეგება. მე ფეხზე ძლივს ვდგავარ. ჩემი ამხანაგებიც, არა მგონია, უკეთეს დღეში ყოფილიყვნენ. შემდეგ არაფერი მახსოვს. ნავეცეულვარ, როგორც მითხრეს. გამომეღვიძა, თანაც ვერძობო საშინელ ტკივილებს, როგორც ფეხის უკანა ძარღვებში, ისე მთელი ფეხის ქვედა პირი დამსკდარია, მენვის საშინლად. ორი კვირის განმავლობაში მიაქიმა ოთარის ძიძამ, მომარჩინა კიდვე. მეკითხება — რა მოგივიდა, ამ ზამთარში რისთვის მოსულხარ, რა გაგიჭირდა? ვუპასუხე — ისისუდან მოვედი, ესე იგი კისლოვოდსკიდან. მერე ფეხები რამ დავიხეთქა ასე. ჰა შე გაიურო, ხუმრობით მეუბნება ძიძა სული, სტყუი, ეშმაკობ, შენ ურუს ფადი — შახის მოლაღატე, — ბუნტოვშიკი ხარ. აბა, ძიძა, ოთარ ოლმ, სენ, მენმ, ქელაგენ ბირადამლა ათიმა. ნეწუდესუნ ბაშნა სააყე (ოთარი ნუ მოგიკვდება, ჩემი მოსვლა არავის უთხრათ, რადგან თავისა მეშინიან). როცა ალანეთს მიხვიდე, ასე უთხარი მათ, დამასწავლა გელამ (ჩემმა ბიძაშვილმა, დადმუქელიანმა), ეს ალანური სიტყვები ჩავიხერე, თორეუ ყარაჩაული მე ნაკლებად ვიციოდი. ის ხომ თათარულსა ჰგავს. აქ ძიძასთან დავყავი 16 მარტიდან ბოლომდის სანამ ფეხები მომიშუშდა. სპირიდონიც ძალაუხებურად შეეჩვია ამ ცხოვრებას. მართალი უნდა ითქვას, ძალიან გვივიდნენ, გეპატრონობდნენ, თავს გვევლებოდნენ. წარმოიდგინეთ, არ მოგვშორებია ბებერი მახაი, სანამ სოფელ ბახსანში არ ჩაგვეყვა დედიჩემის ბიძაშვილებთან, ნავრუზ ურუზბიევისას. მურზა კი ერთი კვირის შემდეგ ისევ სვანეთში დაბრუნდა. აქ განსაკუთრებული პატივისცემა გავგინია მოსკოვის მეხუთე კურსის სტუდენტმა ნავრუზ ურუზბიემა, მოგვცა მშვენიერი კარგი ბინა, სასტუმრო სახლში, სადაც მოთავსებული იყო საუცხოო ბიბლიოთეკა — რუსული, ფრანგული, გერმანული, აგრეთვე, მთელი 1904-1905 წწ. ჟურნალ-გაზეთები, პიატიგორსკის ცნობილი რევოლუციონერების მეთაურის, ექიმ

ერთი უღირსი და სამარცხვინო კუბლიკაციის კვალდაკვალ

„როცა ქალი სინდისიდან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“.

ხალხური

ასეთი იყო ამ ეროვნული ხელისკვეთებით „გულანთებული“ ძალების ხელწერა და მათი საქმიანობის შედეგი აფხაზეთში.

ახლა ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ რით იყო დაკავებული (ქნ ქარაიას აზრით) ის „განდიდების სურვილით გაბრუნებული“ კაცი – რით იყენებდა, დესტრუქციული ძალების საპირწონედ, დაკავებული და რა საქმიანობას ეწეოდნენ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის წარმომადგენლები, უფრო დაძაბულ და ფეთქებად-საშიშ ვითარების დროს, ისინი ვინც არ იყო პირადი ამბიციებით და კომერციული ინტერესებით შეპყრობილი და ხნედაცმეული.

აფხაზეთში მცხოვრებთ, განსაკუთრებით სოხუმელებს, კარგად ახსოვთ, თუ რა ვითარება შეიქმნა აფხაზეთში მთლიანად და, კერძოდ, სამედიცინო საზოგადოებაში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

საყოველთაო ეროვნული გლოვის დღეებში რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ბატონმა არსენ თარბამ არ ჩამოუშვა ავტონომიური რესპუბლიკის დროშა. მის ამ საქციელს დიდი ავადმყოფი და შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რამაც უკიდურესად დაძაბა ისედაც გართულებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. დაპირისპირებამ მკვეთრად გამოხატული ანტიქართული, ანტიეროვნული ელემენტი შეიძინა, დაიძუხტა ირგვლივ ყველაფერი და პაერში დენტის სუნი ტრი-ალედა. საკმარისი იყო პატარა ნაპერ-წკალი, რომ ხანძარი დაწვავდა იყო. ასეთ ვითარებაში გაერთიანდა სოხუმის (და არა მარტო სოხუმის!) სამედიცინო საზოგადოება აფხაზეთის ნეიროქირურგიული ცენტრის გარშემო, რომელსაც ვხელმძღვანელობდი. სამედიცინო საზოგადოება მოითხოვდა ბატონ არსენ თარბას გადაყენებას და დას-ჯახს. ეს კი ადვილი საქმე არ იყო არა მარტო იმიტომ, რომ მის გვერდით ეროვნული ნიშნით გაერთიანდა სამედიცინო საზოგადოების აფხაზური ნაწილი, არამედ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზთა გამო.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ბატონი არსენი საზოგადოებაში ცნობილი იყო, როგორც აფხაზეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის ე.წ. თითქმის ბი-ურთის წამყვანი წევრი, იმ თითქმის უხილავი დაჯგუფებისა, რომელიც სეპარატიზმის, ანტიქართული იდეოლოგიის ბუდე და შეუქმნელი ციტადელი გახლდათ. ამავე დროს, იგი მთელი მოფლილი ომში მცირე მიწის ბრძოლებისთვის დაჯილდოებული იყო „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით და საკავშირო მთავრობისგან საჩუქრად მიღებული ჰქონდა პერსონალური ავტომანქანა „ფოლდა“. ასე, რომ არსენ თარბასთვის ხელის ხლება ადვილი საქმე არ იყო!

მისი, როგორც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის საქმიანობას თავის დროზე საკავშირო ყურნალ „როგორღეობდა“ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამაოდ!

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბატონი ბორის ადლებასაგან არაერთგვარის მსმენია, თუ როგორ ცდილობდა იგი პენსიაზე მის გაშვებას. სწორედ ამისთვის წარუდგენიათ იგი ორდენზე და კიდევ ერთხელ დაუსაჩუქრებიათ პერსონალური ავტომანქანით, რათა, ასაკის გათვალისწინებით, პომპეზურად გაეშავა დამსახურებულ პენსიაზე. მაგრამ გუდაუთიდან ჩამოსულან უხუცესთა საბჭოს წევრები და უთქვამთ ბატონ ბორისისთვის: «Не трогайте Тарбы» – უთქვამთ და გასულან კაბინეტიდან ისე, რომ არც კი მოუსმენიათ საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის არგუმენტიზაციის. ბორის ადლებამ კარგად იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას გუდაუთის სოფლებში – ლიხინში თუ დუროვში, ამიტომ საოლქო კომიტეტმა დათმო პოზიცია და უკან დაიხია. ახლა კი აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოების ქართული ნაწილი მოითხოვდა არსენ თარბას გადაყენებას და დასჯას, რაც, ბუნებრივია, არარეალური იყო.

ამ დროს იყო მოწოდება: უნდა აგველო იარაღი, თოფი უნდა გავარდნიოთ აფხაზეთში და ეს უქმები ხელით უნდა დაწვე-ბულიყო! ნუ დაგვაოწკმინებ, რომ ყოველივე ეს ორიოდ თვით წინ უძღვოდა უნივერსიტეტის გაყოფის შედეგად, სოხუმში 1989 წლის

ივლისის თვის პირველ სიხლიან შეტაკებას. აფხაზეთში სიხლი ექსტრემიზმის შედეგად ისეთ დროს დაიდგარა, როდესაც ქართული მოსახლეობა სრულყოფილ არ მოელოდა და არ იყო მზად. მთლიანად ორივე მხარის ექსტრემისტების სინდისზე ყოველივე ის, რაც მოჰყვა მათ საბედისწერო შეცდომებს 1989 წლის ივლისის დღეებში!

ჩვენ კი, მათგან განსხვავებით, არ დავიწყია რესპუბლიკური საავადმყოფოს ორად გაყოფა – აფხაზურ და ქართულ საავად-მყოფოებად. ჩვენ ავირჩიეთ სხვა გზა: ექიმთა საგაფიცო კომიტეტის ბაზაზე შექმენით ე.წ. (მშრომელთა კოლექტივების საბჭო) და ექიმთა საზოგადოების თხოვნით ჩავუდექი მას სათავეში, გავაერთიანე მასში, როგორც ქართული, ასევე (დააკვირდით!) აფხაზური წარმომავლობის ცნობილი მედიკოსები, შევიმუშავეთ წეს-დება და მის საფუძველზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში, კვორტების მიხედვით, დეჟურებზე ავირჩიეთ საღად მოაზროვნე მედიკოსები და ისე ჩავატარეთ შემაჯამებელი კონფერენცია, რომ მას არ გავაკარეთ არც ჯანდაცვის სამინისტროს, არც მთავრობის წარმომადგენლები.

აი ასე, ყოველგვარი აუიორაჟის, რაც მთავარია, მშვიდობიანად, სიხლის დერის გარეშე, კენჭისყრით გავათავისუფლეთ არსენ თარბა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობიდან და ჯანდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრობისგან!

ეს ისე მოვაგვარეთ, რომ არც ერთხელ არ შეგვხებიათ მტკივნეულ და მეტად სათუთ ეროვნულ თემას. ყველა კრება თუ კონფერენცია ჩემი თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა და შევეცადე (შევეძელი კიდევ!) პრობლემების მოგვარება არა ეროვნული, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ჭრილში, არამედ პროფესიულ სიბრტყეში. არც ერთი მხრიდან ექსცესებს არ ჰქონია ადგილი. ეს პროცესი თითქმის ორ თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა და ისეთი კორექტულობით ჩაიარა, რომ ბატონ არსენ თარბას თანამდებობიდან გაათავისუფლების შემდეგ არც ერთი საყვედური არ დასცდენია. უფრო მეტიც, აფხაზ ექიმებისგან შემდგარი ათკაციანი ჯგუფი მოვიდა ჩემთან და მოხვედნის თანხმობა, რათა შემუშავა არსენ თარბას ნაცვლად რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად. თანამდებობა მე, მოწოდებით კლინიციის, არ მიხიდავდა და აფხაზი ეროვნების მთავარი ექიმის ნაცვლად (მიაქციეთ ყურადღება!) დაენიშნეთ არა აფხაზი, არამედ ქართველი – თემურ შურდაია.

თსუ-ს სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის წარმომადგენლები ისევე, როგორც ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები, ვერც ჩვენი მაგალითის შემდეგ მიხედვარან, თუ რა იყო უმჯობესი – საღი გონების მოხმობა თუ მათ მიერ დაშვებული უგუნურება?

რაც შეეხება ანტისახელმწიფოებრიობას და სეპარატიზმისათვის ხელშეწყობას, რაშიც მღვბს ბაბუს ქალბატონი რაისა, რამდენადაც ეს აბსურდული არ იყო, ყურადღებას, მაგრამ ამაზე აქ არ შეეხერხებო, რადგან ეს და სხვა მსგავსი საკითხები, მათ შორის ის, თუ რატომ და როგორ დაიარდა უმადლეხი საბჭოს სესიების დაწესებამდე ორი დღით ადრე, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება აფხაზეთის უმადლეხი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეები ერთად, ერთ პაკეტში უნდა ყოფილიყვნენ არჩეული, რატომ და ვინ იყო ამაში დაინტერესებული – ეს და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი დეტალურადაა განხილული ჩემს საკმაოდ ვრცელ პუბლიკაციაში: „პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშე-ქცეულ კოლეგებს“-ში (გა.ხ. „ილორი“, 2013 წ. 238-252). სტატიაში ამომწურავადაა პასუხი ამაზე გაცემული, თუმცა აქც უნდა ითქვას, თუ რასთან გვეკონდა საქმე. აფხაზეთის უმადლეხი ჩინონების ერთად, ერთ პაკეტში არჩევა იყო შემაღგენელი ნაწილი იმ ფარული გარიგებისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის, რომლის თანახმად გარძინბას აფხაზეთის უმადლეხი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევისა და ე.წ. დისპრო-პორციული, სინამდვილეში კი დისკრიმი-ნაციული (აპარტიდული) თანარჩევრო კანონზე (კვრტებით 282:6:11) თანხმობის საწინააღმდეგო ქართულ მხარეს (6. მაგალით-ლიშვილი, გ.ლომინაძე, თ.მკავია, მ.ომანიძე და სხვა) ენიჭებოდა უფლება მთავრობის

თავმჯდომარის პოსტზე წარედგინა ნების-მერი კანდიდატურა და ის აფხაზური მხარისთვის იქნებოდა მისადები და უპირო-ბოდ გამსვლელი. ამასთან, მხარეებისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, თუ ვინ იქნებოდა ის ქართველი, რომლის კანდიდატურა ვარძინბას კანდიდატურასთან ერთად, ერთ პაკეტში დადგებოდა კენჭისყრაზე, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: პრეზი-დენტმა ზ. გამსახურდიამ ორივე თანამდებ-ობაზე (უმადლეხი საბჭოს თავმჯდომარის პირველი უმადლეხის თანამდებობაზეც) სულ სხვა კანდიდატურები დაასახელა და ამ ფარული გარიგების მონაწილეებს, როგორც იტყვიან, „კოვში ნაცარში ჩაუ-ვარდათ“ ამიტომაც, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატები ვ. არძინ-ბასთან ერთად რომ არ არჩეულიყვნენ დასახელებულ თანამდებობებზე, ორი დღით ადრე მოწვეულ იქნა მხარეებს შორის არ-სებულად შემთანხმებული კომისია და სხ-დომამაც ადრე ფარულად მიღწეული შე-თანხმება გაუქმდა. აი, რა დონის დალატს ქონდა ადგილი!...

დაახ, ვ. არძინბას ფაქტორს, გარიგებით მიღებულ დისკრიმინაციულ საარჩევნო კანონს და მავანთა ბინძურ ამბიციებს შეეწირა ომისა და მშვიდობის ბუდე აფხაზეთში.

მკითხველმა ეს იცის! ალბათ, ხვდება იმასაც, რომ ის, რასაც ქალბატონი წერს, შორსაა სიმართლისაგან და არ არის გონებაგახსნილი და მიუკერძოებელი ადამი-ანის ნააზრვეი. ეს შავი პიარის, ადამიანის სიძულვილისა და შურისძიების სურვილით გზაბნეული ადამიანის ნაბოღვარია – ადამიანის, რომელიც კანითაც გრძნობს მის და მის მეგობრების მიმართ ხალხის ანტიპატიას იმ უგუნურობისა და მოღალა-ტეობრივი ქმედებების გამო, რომლებიც ასე უხვად ჩაიფინეს მათმა დემსტრუქ-ციულმა ძალებმა, რომელთა რიგებში იმე-ოფებოდა თავად ქალბატონი რაისა ქარა-იაც – ეროვნული ერთიანობის საბჭოდ წოდებული იმ მე-5 კოლონის და დეპუ-ტატთა ქართული ფრაქციის ექსტრემის-ტულად განწყობილი ნაწილის შემადგენ-ლობაში, რომლებიც წარმოადგენდნენ დამანგრეველ ძალას და დღენიდაღ გაიძი-ხოდნენ: „ვინ არიან ვინ? რა უნდათ იმაზე მეტი, რაც გააჩნიათ? აფხაზეთი მარტო მათი ხომ არაა? აფხაზეთზე მეტი პრობლემა არაა საქართველოში? წესიერად თუ არ იქნებიან, გადავუვლით“ და ა.შ. „არავითარი კონტაქტი აფხაზურ მხარესთან“, „ისინი ჩვენი მტრებია, მათთან თანადგომა და თანაარსებობა არ შეი-ძლება“, „მოღალატეებად ჩაეთვლით და ჩაქოლავთ ყველას, ვინც რამეით დაეხ-მარება აფხაზებს“, „მტრის ხატი უნდა შეეჭმნათ აფხაზებისგან“ ა.შ. და ა.შ.

აი, ასეთი ხალხის რიგებში იდგა და მხარს უმწვენებდა ეს ქალბატონი – იმ ძალებს, რომლებსაც გონიერულ, წინ-დახედულ პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მათ არ ესმოდათ, ან არ სურდათ სცოდნოდნათ, ასეთი პოლიტიკა დამღუპველი რომ იყო. ახლა, როდესაც მიხვდნენ თავიანთი საბედისწერო შეცდომებში, ცდილობენ გადაფარონ თავიანთი უგუნურე-ბა და ამისთვის თხზავენ ათასგვარ პასკილებს იმათი მისამართით, ვინც ამხ-ელდა და ამხელს მათ საკუთარ უგუნურე-ბაში და დალატში. ასე რომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ასე იკონება და ასე ძალეუდა რომ აფრქვევს სიბინძურეს ეს ქალბატონი. ის შეიძლება, არც იმსახ-ურებდეს პასუხს, მაგრამ მარტო ამ ქალ-ბატონში როდია საქმე – არის მკითხველი და ის იმსახურებს იმდენ პატივისცემას, რომ იცოდეს სიმართლე.

და მაინც ერთგვარ დისკომფორტს გან-ვიცდი იმის გამო, რომ ამ ქალბატონთან – მის ყოველგვარ კრიტიკას მოკლებულ და უსუსურ კითხვებზე პასუხის გაცემა მიწევს, და, ამდენად, ისევე უნდა მიუგებოდნენ ამ ქალბატონის წერილის სტრიქონებს: „თქვენ კი, როგორც თვითონ წერთ, თურმე ხშირად გიწვევთ მასთან (ე.წ. შევარდნაძესთან, ნ.მ.) შეხვედრას, თითქოს ქართული ფრაქციის გადასარჩენად, უმადლეხი საბჭოს ქართულ დეპუტატის, და არა ფრაქციას, არაფერი ემუქრებოდა; აფხაზეთში არასოდეს დამდგარა საკითხი, არც დეპუტატის გაუქმე-ბის და არც პარლამენტის სტრუქტურების შექმნის შესახებ, ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ამას არავინ დაგიდასტურებთ“.

სინამდვილეში ასე მარტივად არ იყო საქმე. 1991-1992 წ.წ. დეკემბერ-იანვრის სახ-ელმწიფო გადატრიალებისა და ქვეყნის სათავეში არადეპუტირებული ძალების

მოსვლის შემდეგ, საქართველოში აფხ-აზეთსა და აჭარაში იყო დარჩენილი ლე-გიტიმური, ხალხის მიერ არჩეული ხელისუ-ფლება და ეს ერთგვარ დისკომფორტს უქმნიდა სიხლიან ხუნტას. ამიტომ ის ცდილობდა ყოველნაირად მის დისკრედ-იტაციას. სწორედ ამისთვის შეიქმნა აფხ-აზეთში ე. წ. ეროვნული ერთიანობის საბჭო – ის მე-5 კოლონა, რომელსაც მხარს უჭერდა „გოსსაბჭო“: ისინი უკანასკნელის სატელიტი ძალები იყვნენ და აკეთებდნენ ყველაფერს საზოგადოე-ბრივი და პოლიტიკური დესტაბილიზაცი-ისთვის აფხაზეთში.

ჩვენ, ქართული დეპუტატია, ისევე რო-გორც მთლიანად აფხაზეთის უმადლეხი საბჭო, სახელისუფლებო ვაკუუმში აღ-მოვჩნდით და უმადლეხი საბჭოში ვერაფერს ვწვევდით. ამ დროს სიტუაცია დღითიდღე იძაბებოდა და რთულდებოდა. ჩვენს მიერ უმადლეხი საბჭოდან საბოლოოდ გასვლა, ცალკე ფრაქციად, შემდეგ კი „პარლამენ-ტად“ (ი) ჩამოყალიბება ფეთქებადსაშიში სიტუაციის ხელშეწყობად შექმნის მცდე-ლობა და მეტად არაეკონომიკური ნაბიჯი იყო. იგი სამხედრო კონფრონტაციისკენ გვიბიძგებდა. ამ დროს, ძველებურად გრძელდებოდა დეპუტატთა დევნა ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მიერ – ისინი გვიბიძგებდნენ თავიანთ სდომებზე, შეკრებებზე და დეპუტატთა ფრაქციის დაშლას მოითხოვდნენ: სახელმწიფო საბ-ჭოს წინაშე აყენებდნენ საკითხს დეპუ-ტატებისათვის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისიდან ინსპირირებული პოლიტიკური პუტჩის მცდელობა იყო – მათ არ აწყობ-დათ ლეგიტიმური პოლიტიკური თავისის არსებობა აფხაზეთში, ამიტომ დიად უჭ-ვრდნენ მხარს ექსტრემისტულ და დე-სტრუქციულ ძალებს. ამდენად, ხშირად დგებოდა დღის წესრიგში დეპუტატთა ქართული ფრაქციის ყოფნა-არყოფნის საკ-ითხი. ჩვენი, კიმი ჯაჭვლიანთან ერთად, დედად შევარდნაძესთან ერთ-ერთ შეხვედრისას სწორედ ამაზე გვეკონდა საუბარი და მან დააყვავა თავის თანაშემწე: „გადავციოთ ლომინაძეს, რომ გუშინდელი მასთან მიღებული გადაწყვეტილება ძალაში არ შედგეს, დეპუ-ტატები უნდა დარჩნენ“. როგორც ცნობილი გახდა, წინა დღეს მას სტუმრობდა გ.ლომინაძე ე. წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებთან ერთად.

ქართული დეპუტატთა ფრაქციის, ისევე როგორც აფხაზეთის პარლამენტის დაშლა დიდი შეცდომა და პოლიტიკურად გაუ-მართლებელი ნაბიჯი იყო. ამის დაშენბა არ შეიძლებოდა, თუმცა ეს დიდი ხნით ადრე მხადდებოდა. ჯერ კიდევ 1992 წლის 30 ივლისს, აფხაზეთში პარარელური ქარ-თული მთავრობის და მისი სტრუქტურების დაფუძნების მცდელობის (ამაზე გვეყენება დეტალური საუბარი) ჩავერდნის მეორე დღეს, თამაზ ნადარეიშვილმა ქართულ დეპუტატთა ფრაქციის სხდომაზე საგანგე-ბოდ, კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) დასვა საკითხი ფრაქციის დაშლისა და დეპუტატებისთვის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ, მაშინ ფარული კენ-ჭისყრით ჩემმა ალტერნატიულმა წინადადე-ბამ გაიმარჯვა – თვრამეტმა დეპუტატმა დამიჭირა მხარე და მხოლოდ ოთხმა დაიკავა თ. ნადარეიშვილის დანაშაულებ-ბრივი პოზიცია. იმ ოთხ დეპუტატთა შორის იყვნენ სწორედ ქნი რაისა ქარაია და მისი დაქალი ე. ასტემიროვა!!! ამის შემდეგ ეს ქალბატონი ურცხვად წერს, რომ დეპუტატობას არასდროს არაფერი ემუქრებოდა და არასდროს მდგარა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი!

აფხაზეთის უმადლეხი საბჭოს და ქარ-თული დეპუტატის ყოფნა-არყოფნის საკ-ითხი შემდგომშიც არაერთგვარის დამდგარა დღის წესრიგში და ბოლოს ე.წ. „იმელის“ (ე. შევარდნაძის) პარლამენტმა და მასთან დაახლოებულმა დესტრუქციულმა წრეებმა მაინც მიაღწიეს საწადელს – გააუქმეს აფხაზეთის უმადლეხი საბჭო, დაშლეს დეპუტატთა ქართული ფრაქცია და თავად მიუსხდნენ (!!!, ნ.მ.) აფხაზ სეპარატისტებს (რომლებიც მიუბრუნდნენ 1925 წლის კონ-სტიტუციას და აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს!), მოლაპარაკე-ბის მაგიდასთან ხან ენევაში, ხან კიდევ რუსეთში, ხანაც სად, რთაც აფხაზური მხარე, მაშასადამე, აფხაზეთი აღიარეს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი!..

ნაპო მხსნია, პროფესორი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანის ფიქრები ოკეანის გაღმიდან: აღამიანთა სეზლა



ბატონი რობინზონ ქინკლაძე ერთადერთხელ, თბილისურ საღამოს მყავს ნანახი - ყაზბეგის გამზირზე რომ კაფერესტორანი "თბილისა", იმის წინ. შექვიფიანებული ბრძანდებოდა თავად და საკმაო ომნიციში ვიყავით ჩვენც - "ოლიმპის" კურნალის-ნეკები. ზუსტად არ მახსოვს, მორიგ ხელფასობას თუ აღენიშნავდით.

არადა, რამდენჯერ მიფიქრია, ჩემთვის, სხვებთან რომ არ მილაპარაკია ისე, თუკი სადმე ბატონ რობინზონთან სასაუბროდ შეხვედრას მოვახერხებდი. გამომეკითხა, როგორ ზრდიდა ეს კაცი ვაჟიშვილი, როგორ, სად და რამდენ ხანს ავარჯიშებდა, რას ატყუებდნენ სახლში...

ვერ განვახორციელებ ეს "პროექტი". სულ უბრალო მიზეზის გამო - რაც გინდა ტოლებიდან გამორჩეული იყოს, ვარსკვლავი ასე თუ ისე მაინც შეუმჩნეველად იზრდება. იმდენად ძალადაუტანებლად, უბრალოდ აკეთებს ის იმას, რასაც აკეთებს, გგონია, რომ ადვილია, რომ ასეც უნდა იყოს, რომ სხვანაირად არც შეიძლება...

გიორგი ქინკლაძე პირველად მუშაობის ბაღში, იქაურ "ბაღელში" მოვიხსენიე. მათ ჰყავდათ რამდენიმე კოლორიტი და ის კაცი, ვინც პირველად გიორგის, ერთი კოლორიტივითაა იყო. ჯერადი ვერქა, მეტსახელად "ცენტროლიტას" ეძახდნენ, დაბალი, სიმსუქნემორეული, მელოტი

კაცი იყო და იმხელა ხმა ამოსდიოდა პირიდან, ადამიანს კი არა, მუშაობაში რომ დევის ქანდაკებაა, იმას ამაგებებდა "ცენტროლიტას" ხაფი ხმის გაგონებაზე.

ეროვნული ჩემპიონატი ახალი განაღებული იყო, ჯონი ჯანელიძისა და მისი "კოლხეთის" სენსაცია, "დინამოსთან" თბილისში მოგება, ჯერაც მთავარი თემა გახლდათ და მუშაობაშიც ძირითადად სულ ამაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთ დღეს მოვიდა ის კაცი და ქინკლაძისა და ბუბა ტყავაძის შესახებ ხმამაღალი ლექცია წაიკითხა.

ბუბას მანამდე ვიცნობდით - მინი-ფეხბურთიდან და "მრეტეზიდან" უფრო. აი, ქინკლაძის გვარმა კი ვერავის ვერავფერი უთხრა. ასაკითაც ვმაწვილი იყო მაშინ - სულ რაღაც ჩვიდმეტი წლისა და "ცენტროლიტას" ნათქვამზე, ორივეს ერთად ორმოცდაათი ბურთი აქვთ გატანილი, მაინც დამინც დიდი ყურადღება არავის მიუქცევია...

თურმე სად გიხანავს, წადი, ნახე, მოსაყოლი გექცევა და სახარეს რომ კოჭებში ეტყობა, იმას ხომ დაიჯერებ და დაიჯერებ.

გამორჩეულებს ხშირად არ უმართლებთ ხოლმე და არ ეძლევათ შესაძლებლობა, ბოლომდე დაიხარჯონ იმ საქმეში, რაც ყველაფერზე და ყველაზე უკეთ გამოსდით.

მე რასაც ვაკვირდები, გიორგი ქინკლაძე ამ ტვირთისთვის არ გაიმეტა ბედისწერამ და არ ვიცი მისი ქცევისა და ხასიათის გამო, არ ვიცი იმისთვის, რომ მართლა ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, მისი მომუშავე და მოზიზღარი სხვა ფეხბურთელი არ მინახია.

ერთი ძვირი რაა, ისიც კი არ დასცდენიათ მისი თაობის ბიჭებს და უცხოეთში რა დიტირამებებს

უმდეროდნენ, ეს საერთოდ ცალკე სალაპარაკოა.

ყველაზე ზუსტად ამას სიტყვა აღიარება გამოხატავს. გარდა "მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში მოთამაშე ქინკლაძეზე აღტაცებით მოსაუბრე ხალხისა, მე მომისმენია და წამიკითხავს შოთა არველიძის, არჩილ არველიძის, თემურ ქეციაიას, ალექსანდრე ჩიგაძის, დავით ყიფიანის, ვლადიმერ გუცაევის შეფასებებისათვის და დასკვნა ცალსახაა: ისინი ერთხმად, ერთსულოვნად აღიარებენ გიორგი ქინკლაძის საფეხბურთო გენიოსობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თანაგუნდელების, თანანაკრებელების ასეთი პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს გიორგი უკეთესი კარიერა ჰქონდა და შესაბამისად, პარტნიორებადც უმაღლესი სინჯის ვარსკვლავები ჰყოლიათ, როცა გიორგი ჩამოვარდებოდა საუბარი, მათ ხმაში მხოლოდ პატივისცემა ისაღვრებდა.

"გიორგი გადვირით პირველად რომ მოიყვანეს... სასწაულ რაღაცებს აკეთებდა." - ეს თემურ ქეციაიამ თქვა.

"გიორგი ქინკლაძე ქართული ფეხბურთის ყველა დროის უნიჭიერესი ფეხბურთელია." - დავით ყიფიანი.

"მე არ მინახავს უფრო დიდი სასწაული, ვიდრე გიორგი ქინკლაძის თამაშია" - ჯო გალაკერი, "თახისი" სოლისტი...

ასი, ათასი გამონათქვამის მოყვანა შეიძლება. ამას დაუმატეთ თიკუნები "ჯიბის გენიოსი", "მეფე ქინქი", "კინგ-კლადზე" და ერთხელაც ნათელი გახდება, რამხელა ფეხბურთელი იყო და შესაბამისად, რამხელა უკმარისობა დატოვა მისმა კარიერამ ქინკლაძის ნიჭის ნებისმიერი დამფასებლის გულში.

არჩილ არველიძე: "სასწაული

იყო. ბუნების სასწაული. ასეთები იშვიათად იბადებიან. კარიერა ისე ჩამოავრა, დანა არ დაუკარგიათ. ტრავმა და ტკივილი როგორ არ გამოუვლია, მაგრამ ოპერაციაზე, მძიმე შემთხვევაზე ლაპარაკი.

ხასიათიც მაგარი ჰქონდა. გარეგნულად ისე ჩანდა, საერთოდ არ ეტყობოდა ნერვიულობა - რა სირთულისა და სახელის მეტოქესაც უნდა შეგხვედროდით, სულ ერთნაირი იყო.

განსაკუთრებულად არც ვარჯიშისთვის ემზადებოდა, არც თამაშისთვის - ალბათ, ვარსკვლავის ბუნებაა ასეთი: რანაირ სიტუაციაშიც უნდა მოხვედ, შენი თავისა გჯერა და იცი, რომ ნებისმიერ დროს გააკეთებ იმას, რისი გაკეთებაც გინდა ან გევალება.

ხომ არიან მოწესრიგებული ფეხბურთელები, გიორგი მათგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა და დედამიწა. საგარჯიშოდ რომ მოდიოდა, ფორმის კომპლექტიდან რაღაცა მუდამ აკლდა - ჩემს გამაშს ჩაიცვამდა, შოთის შარვალს, ბუცს და მაისურას თავისას მოირგებდა, ერთ-ორჯერ წელს დაატრიალებდა და...

მე იყო მისი გახურება. ჩვენ დანარჩენები თავს ვიკლავდით, აბა გატიმებები, აბა ხტომა, აბა სირბილი, სისწრაფეზე ვარჯიშები, საზარდული, კუნთები - ამაზე ფიქრი გიოსთვის უცხო იყო. ხურდებოდა და იტიმებოდა ისიც, მაგრამ ისე, სხვათაშორის, საკუთარი ორგანიზმის ფასი და შესაძლებლობები იცოდა და იმიტომაც თუ არ იკლავდა თავს.

ჩვენში ყველაზე ჯანაზად მურთაზ შელია ითვლებოდა. ერთხელ, ვარჯიშისას, ისე მოხდა, შელო და გიორგისთვის გატანდნენ. საჭე მოსწრებზე იყო. არცერთი ადრედა ორთაბრძოლას და ბაას! - ისე შეასკდნენ, ყველამ თვალები დახვუჭუტა.

უფრო ქინკლაძეზე იყო

საფიქრალი - ამხელა კაცი დაეჯახა, თან მთელი სისწრაფით, აწყვეტილი.

დაიჯერებთ? ქინკლაძე წამოდგა, მუხლები ჩამოიფერთხა და ვარჯიშის გასაგრძელებლად მოემზადა. შელო კიდევ ძლივს წამოგერიფეთ ადგილიდან - ისეთ დღეში იყო.

არ ვიცი რა, თითქოს პატარა სხეული ჰქონდა, მაგრამ სად ინახავდა ამ ჯანს, მაშინაც მიკვირდა, ახლაც მიკვირს და მერვეც სულ გამიკვირდება."

გიორგი ქინკლაძე ქართულ ფეხბურთს ადამიანთა სეველად შერჩა... სეველად იმ ადამიანებისა, რომელთაც ფეხბურთი გიოს გამო შეიყვარეს და დღემდე გულს იწყებენ ასე უსაშველოდ გაფლანგული ნიჭის გამო.

გამოუყენებელი შესაძლებლობების გამო... ხანმოკლე კარიერის გამო...

გულს იწყებენ, რადგან ვერც ვერაინს გაიგო, სად და როდის, დროისა და სივრცის რომელ წერტილში გადაწყდა ასე ცოტა ხანს ეკაშპაშა ჩვენი ფეხბურთის პატარა გენიოსს.

ეს ის კითხვაა, რომელზე პასუხიც მხოლოდ გიორგი ქინკლაძეს უნდა ჰქონოდა და აკი უპასუხა კიდევ:


"რას ვურჩევდი 20 წლის გიორგი ქინკლაძეს? თავდაუზოგავად ვარჯიშს. სამწუხაროა, რომ ეს დროულად ვერ ამისხნეს.

ორი-სამი კვირა არ ვვარჯიშობდი, მოედანზე გავდიოდი და მაინც ყველაფერი წესრიგში მქონდა. ისეთი ილუზია იქმნებოდა, რომ ვარჯიშზე ოფლის დგრა საჭირო არ იყო და მხოლოდ ნიჭი საკმარისია. თუმცა, ეს პერიოდი გადიდა. დგება დრო, როდესაც ნაკლებად ნიჭიერნი, მაგრამ შრომისმოყვარე ფეხბურთელი გავლობს..."

პ. ბობიშვილი

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624 თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322

შეცდომა, რომლის ბაგო ბოლიშის მოხლამ მოგვიწია...



თბილისის სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილემ ბესო გახდელიანმა საქართველოს მინისტრიატში გახვია, როდესაც 9 აპრილის შემორიდან თავისი ჭკუით რუსული დროშის მსგავსი ფერებიანი ლენტე დაწვა. დროშა სლოვაკური აღმოჩნდა და ამ ტრაგიკომედიაში გახდელიანი "დღის გმირად" აქცია. ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს კი ბოლიშის მოხლამ მოუწია სლოვაკიის მთავრობის წინაშე ამ "დასანანი" შეცდომისათვის.

გახდელიანს შეუძლია თავი იმით დაიმშვიდოს, რომ მსგავსი შეცდომები არაერთხელ დაფიქსირებულა. თუმცა, სხვა ქვეყნებში დაშვებული შეცდომები სიმბოლიკათა არცოდნით ან სინქრით იყო გამოწვეული, ხოლო გახდელიანის შეცდომა იმ ბრმა სიძულვილს ეფუძნება, რამაც არაერთხელ შეგვიქმნა უხერხულობა საერთაშორისო არენაზე და კვლავაც მრავალგზის მოგვიწევს ბოლიშების

მოხდა, თუ დროზე არ მოვიშორეთ თავიდან ავასახსენებელი ნაცები.

ისე კი, საინტერესოა გახდელიანს იმდენი რა გაუფუჭეს რუსებმა, რაც საქართველოს და ქართველებს გაუფუჭეს მისმა ნაცმა თანაგუნდელებმა. იქნებ ის, რომ რუსებს მილიონამდე ქართველი ჰყავთ შეფარებული და დასაქმებული, რომლებიც იქიდან არჩენენ საქართველოში მყოფ ოჯახებს?! ხოლო, თუ საქართველოს დროებით მოწყვეტილია მისი ძირძველი კუთხეები, ესეც სააკიანციის ნაცებისა და მათი გურუს - ელუარდ შევარდნაძის დიდი დამხმარებელი გახლავთ!

ისე, ჩვენში დარჩეს და, რუსები უარესის ღირსნი არიან, განსაკუთრებით კი უკრაინელებისაგან.

თავად განსახლებურეთ - ევროპელები აღიარებენ უკრაინის ფაშისტური ხელისუფლების ლეგიტიმურობას, მაგრამ ერთი გროშითაც არ დახმარებიან უკრაინელ ხალხს. რუსები კი, პირიქით - არ აღიარებენ უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებას, მაგრამ კვლავინდებურად მილიარდებს ახმარენ უკრაინელებს, რათა ქვეყანაში მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების შიმშილი (ე.წ. "გოლოდომორი") არ განმეორდეს და მაშინდელივით მილიონობით უკრაინელი არ დაიღუპოს უჭმელობისაგან.

ახლა, დაფიქრდით - ვის უკრაინის მთავრობაზე კონტროლი აინტერესებს (რათა მერე მათ ბიუჯეტში იბურჯდნანონ) და ხალხის ბედი ფეხებზე ჰკიდია და, ვის - პირიქით! სამწუხაროა, რომ ამას თავად უკრაინელი ხალხი ვერ ხედება!

ამიტომაც არიან რუსები უარესის ღირსნი!

როლანდ ჯალალანია

ბერია
XXI საუკუნის
საუკეთესო მენეჯერი

სამეგრელოს

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №8, სატელ. №01018002930, 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ-ფოსტით (ან ლახერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია

ტექნიკური რედაქტორი: ბაზუთის მანუჩარი

სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, ზვიად მირზაბაძე, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე

WWW.saqinform.ge